ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 15 ივნისი, 2021 | №106 (8635) | ფასი: 60 თეთრი

თამარ ბაჩალიაშვილის კომპანია უცხოელებს ბარათებიდან ფულს ჰპარავდა და სუსთან თანამშრომლობდა



გვ.5

„ოცნება“ გახარიას შეეკვრება“

გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „ვერანაირ პრობლემას გახარია „ოცნებას“ 43%-ის მოგროვებაში ვერ შეუქმნის“

„ჩვენ ივანიშვილის ბუტკის წევრი არ გავხდებით“

გვ.3

გიორგი გუგავა: „გახარია და ვასაძე კრიტიკულ სიტუაციაში აუცილებლად შერიგდებიან და გარიგდებიან“

„ოპოზიციაში გარკვეული ლუსტრაცია მოხდება“

ნატო ჩხეიძე: „თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე კომისია უნდა შეიქმნას...“

გვ.2

„გახარია საშიშია როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის“

გვ.4

გიგა ბუკია: „ისეთი განცდაა, რომ ბიძინა ივანიშვილს მიაწოდეს წერილი, რომელიც მან გამოაქვეყნა“

გვ.3

დავით უსუფაშვილი: „ქართული დემოკრატია ინტენსიური მკურნალობის რეჟიმშია“

ქართულ ბაზარზე გაუყიდავი კარტოფილი ფერმერებმა რუსებს მიჰყიდეს

გვ.4

ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის დირექტორად მეუფე იაკობი დაინიშნა

გვ.2

ISSN 1987-9385

3 რუსთავში გოგონებმა კაცის გამო იჩხუბეს

5 პროკურატურამ ნინოწმინდის პანსიონის საქმეზე დაკავებულ პირს ბრალდება წარუდგინა

5 შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 299 ფაქტი გამოავლინა

6 ისრაელის ახალი პრემიერი ნაფტალი ბენეტი გახდა
ნეთანიაჰუ: „ჩვენ მალე დავბრუნდებით“

„ოპოზიციაში გარკვეული ლუსტრაცია მოხდება“

ნატო ჩხეიძე: „თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე კომისია უნდა შეიქმნას...“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ მათ ოპოზიციის აზრი არ აინტერესებთ და ხალხის აზრი აინტერესებთ. ეს შეფასება სუბარმა საგამოძიებო კომისიების შექმნასთან დაკავშირებით განაცხადა და აღნიშნა, რომ ოპოზიციის რიტორიკა, რომ არჩევნები გაყალბდა, ტყუილი და ცილისწამებაა, რაც საზოგადოებამ უნდა დაინახოს.

„ყველა იმ უბანზე, სადაც გაყალბებაზე საუბრობენ, დავითვლით, გაყალბდა თუ არა, დაიკითხება ყველა ის ადამიანი, ვინც მონაწილეობდა, რომ გამოჩნდეს, იყო თუ არა არჩევნები გაყალბებული. არ გვაინტერესებს ოპოზიციის აზრი. მათ კარგად იციან, რომ არ გაყალბებულა, იმიტომ არ მონაწილეობენ კომისიის მუშაობაში. ჩვენ გვაინტერესებს საზოგადოების აზრი, რომ საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ დაინახოს ის, რასაც ოპოზიცია ამბობდა, იყო ტყუილი, ცილისწამება და კიდევ ერთხელ ცილისწამება“ – თქვა სუბარმა.

ხომ არ ჩნდება ეჭვი, რომ „ოცნება“ ხელს შეუშლის კომისიების შექმნას და რა უნდა გაკეთდეს ამ საკითხზე ობიექტური სურათის დასადებად? ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გაერთიანებული ოპოზიციის – „ძალა ერთობაშია“ წარმომადგენელი, პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი **ნატო ჩხეიძე** საუბრობს:

– პარლამენტში ახლად შესული ოპოზიცია საუბრობთ საგამოძიებო კომისიების შექმნაზე და ერთ-ერთ ბერკეტად მიგაჩნიათ ეს. თუმცა, გუშინ სოზარ სუბარისგან მოვისმინეთ, რომ მას არ აინტერესებს ოპოზიციის აზრი და მას ხალხის აზრი აინტერესებს. თქვენ როგორ გაიგეთ მისი განცხადება?

– ის, რომ „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციის აზრი არ აინტერესებს, ეს სულ ასე იყო და ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ცუდი და სავალალო ის არის, რომ „ოცნებას“ არც ხალხის აზრი აინტერესებს. იმიტომ, რომ ახლა ვითარება ასე, რომ ხალხის აზრს ოპოზიცია განასახიერებს და არა „ქართული ოცნება“. ამიტომაც არის, რომ ხალხს არაერთი აქცია აქვს და პროტესტს გამოთქვამენ „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებების მიმართ. აქედან გამომდინარე, მმართველ პარტიას ხალხის აზრი რომ აინტერესებდეს, მაშინ საზოგადოების მხრიდან ამდენი პროტესტი არ იქნებოდა.

– ასეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, რომ თქვენი ინიციატივების დაბლოკვას შეეცდებიან კომისიების შექმნასთან დაკავშირებით?

– ასეთი შთაბეჭდილება დამრჩებოდა, „ქართულ ოცნებას“ კომისიებთან დაკავშირებითაც რომ ჰქონდეს გადამწყვეტი ხმის უფლება. ახლა, იმისათვის, რომ კომისია შეიქმნას, ამისთვის 50 ხმაა საჭირო, ხოლო ოპოზიციაში 60 დეპუტატი ვართ. ასე რომ, კომისიების შექმნის გადაწყვეტილებაზე უარი რომ თქვან, გაუჭირდებათ, რადგან 50 დეპუტატი ყოველთვის მოიძებნება, რათა მოვითხოვოთ კომისიების შექმნა.

– ზუსტად ეს ქვეტექსტი ჰქონდა ჩემ შეკითხვას – მოიძებნება? იმასაც ხომ არ ხედავთ, რომ მმართველი პარტია რაღაცა გარიგებაში შევა ოპოზიციის ერთ ნაწილთან?

– იცით რაშია საქმე? ის 60 დეპუტატი, რომელიც პარლამენტში ოპოზიციიდან მოხვდა, ყველა ამბობს, რომ ოპოზიციონერი ვარო. ვნახოთ, ესეც გამოჩნდება და ესეც გარკვეული ლუსტრაცია იქნება თუ ვინ დაუჭერს მხარს კომისიის შექმნას და თუ 60-დან 50-იც ვერ მოიძებნება. ეს გამოაჩენს. ამას შევხედავთ და ლაკმუსის ქაღალდი ნამდვილად იქნება იმ ოპოზიციონერებისათვის, ვისაც საგამოძიებო კომისიის შექმნა არ ენდომება. რადგან, როგორც წესი, ბლოკავენ ხოლმე ოპოზიციის კანონპროექტებს და ვერც ერთი კანონპროექტი ვერ გადის. ხელისუფლების არგუმენტია, რომ ოპოზიცია „ქართულ ოცნებას“ ვერ არწმუნებს იმაში, რომ ის კონკრეტული კანონპროექტი მართლაც აუცილებელი და საჭირბოროტოა ხალხისათვის.

ამიტომაც ოპოზიციისთვის სამუშაო ახლა საგამოძიებო კომისიებში უფროა, ვიდრე ახალ-ახალ კანონპროექტებში. ვნახოთ, რა როგორ იქნება. მე პირადად ვფიქრობ, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე შეიქმნას საგამოძიებო კომისია. სხვა კოლეგებს უნდათ, რომ ანტიკორუფციულ საკითხებზე შეიქმნას საგამოძიებო კომისია და ა. შ. ამ თემებზე გვექნება მუშაობა.

– რაც შეეხება არჩევნების გაყალბება – არგაყალბების თემას? სწორედ ამაზე ხდება აპელირება „ქართული ოცნების“ მხრიდან, რომ თუ მუშაობა უნდათ და საკითხის გარკვევა, შემოვიდნენ, ჩაერთონ და იქ დაამტკიცონ, რომ გაყალბდაო. ამაზე რას იტყოდით?

– მაგაზე ვიტყოდი იმას, რომ ჩვენი ძირითადი უფლება არის, რომ უბნებში გადავთვალოთ ბიულეტენები და ნახეთ, როგორ სწორად გვექნება ეს ბიულეტენებიო, სწორედ ამაზე ამბობენ, რომ 1% თუ ნახეთ, მაშინ იყო გაყალბებულიო. საქმე ისაა, რომ ბიულეტენების საკითხი მათ უკვე აქვთ მოწესრიგებული. გახსოვთ, რომ თავის დროზე არც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და არც სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ის საჩივრები, რომელიც ოპოზიციამ გაასაჩივრა. ისინი უკან დააბრუნეს. იმის მერე უკვე ყველაფერი გასაწორეს.

ჩვენ გვექნება ასეთი შეთავაზება, რომ მხოლოდ ბიულეტენები კი არ გადავთვალოთ, არამედ მთლიანი საარჩევნო უბნის რევიზია გავაკეთოთ. იმიტომ, რომ ბიულეტენები არის არა მხოლოდ ის, სადაც დაფიქსირებულია სხვადასხვა პარტიისთვის ხმის მიცემა, არამედ ის, რომელიც იყო, დავუშვათ, გაუქმებული, ან, ასე ვთქვათ, არგამოყენებული. ბიულეტენების მრავალი სახეობა არსებობს და თუკი მთლიანი უბნის რევიზიას გავაკეთებთ, მაშინ შედეგის დადება შესაძლებელია.

– რევიზია როგორ უნდა გაკეთდეს?

– ყველა ბიულეტენის რევიზია უნდა გაკეთდეს და არა მარტო ხმამიცემული ბიულეტენის, არამედ მათ შორის გაუქმებული ბიულეტენებისაც და ასეთ შემთხვევაში ძალიან მარტივად დაჯდება დისბალანსი.

– ეს არ არის გასუფთავებული „ქართული ოცნების“ მხრიდან?

– არა, მაგას ვერ გაასუფთავებდნენ. იმიტომ, რომ მაგის გასუფთავება ძალიან რთულია. ამიტომ, მანდ დისბალანსი აღმოჩნდება, მაგრამ თუ მხოლოდ იმ ბიულეტენების გადათვლა მოხდება, სადაც ხმა არის მიცემული, ის უკვე გასწორებული აქვთ. ამაშია საქმე და ამიტომ არ ვიღებთ მონაწილეობას მათ მიერ შექმნილი კომისიის მუშაობაში.

– ოპოზიცია, ბუნებრივია, პარლამენტში მუშაობს ფრაქციების შექმნაზეც. საინტერესოა, სად იქნება და სად ხედავს თავის თავს ნატო ჩხეიძე?

– დღევანდელი რეგლამენტით არის ერთი ფრაქცია, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“ და გაერთიანებული ოპოზიცია. ეს არის დღეს ფრაქცია. რეგლამენტის მიხედვით ჯერჯერობით არ არის საშუალება, მაგრამ ბევრი რამე იცვლება, მოგეხსენებათ, რომ სხვადასხვა ინიციატივები შემოდის პარლამენტში. თუ იქნება იმის საშუალება, რომ ფრაქცია შეიქმნას, ალბათ გაერთიანებული ოპოზიციის ფრაქცია შეიქმნება და იქ ვიქნებით.

– თაკო ჩარკვიანი გეგმავს ფრაქციის შექმნას და იმ ფრაქციაში ხომ არ უნდა გელოდოთ თქვენც?

– ჯერჯერობით ასეა, რომ 7-დეპუტატიანი ფრაქციაა. ვნახოთ, ვერ გეტყვით. რა საშუალებით და როგორ შეიქმნება, ჯერ არ ვიცი. ამიტომ, შევხედავ ვითარებას და იმის მიხედვით ვიმოქმედებ.

– ოპოზიციის ბრძოლამ ამჯერად ქუჩიდან პარლამენტში გადაინაცვლა და ამ ბრძოლაში წინა ხაზზე იქნებით?

– არ ვიცი, ახლა წინა ხაზი და უკანა ხაზი რა არის. ახლა ყველაფერი წინა ხაზია. ბრძოლაში აქამდეც ჩართული ვიყავი და, რა თქმა უნდა, ახლაც ჩართული ვიქნები. კი, წინა ხაზზე ვიქნებით ყველა, მე ასე ვფიქრობ.

სოზარ სუბარი: „საქართველოში დემოკრატია უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე ნატოს ზოგიერთ ქვეყანაში“

– როგორც თავის დროზე რუსეთი იყო წინააღმდეგი, რომ აღმოსავლეთ ევროპა არ გამხდარიყო ნატოს წევრი, მაგრამ გახდნენ, შემდეგ იყო წინააღმდეგი, რომ ვერასდროს გახდებოდა ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო ნატოს წევრი, მაგრამ გახდნენ, ისე დადგება დღე, როცა საქართველო, უკრაინა და კიდევ არაერთი სახელმწიფო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრმა სოზარ სუბარმა განაცხადა.

როგორც სუბარმა აღნიშნა, საქართველო ნატოსთან არასდროს ყოფილა იმდენად ინტეგრირებული, თავსებადი, როგორც ახლაა.

– შეფასებები არის ნათელი და დღის ბოლოს კიდევ უკეთესად იქნება მოსმენილი ეს შეფასებები. საქართველო არასდროს ყოფილა იმდენად ინტეგრირებული, თავსებადი და ისე ახლოს ნატოსთან, როგორც არის ახლა. რაც შეეხება ოპოზიციის ბრალდებებს, ოპოზიცია, რომელიც 9 წლის წინ იყო ხელისუფლებაში და აწამებდა ადამიანებს, წამება იყო ყოველდღიური პრაქტიკა, უბრალოდ, შეუძლებელია ნატოში, ევროკავშირსა და რომელიმე ცივილიზებულ ალიანსში გაწევრიანების შანსი ჰქონდეს ქვეყანას, სადაც არ არის დემოკრატია და სადაც ადამიანის წამება არის ყოველდღიური პრაქტიკა, მგონია, უკეთესი იქნება ამას გაუსწორონ თვალი.

საქართველოში დემოკრატია არის ისეთ დონეზე, რომელიც არის ნატოს ბევრ წევრ ქვეყანაში და შეიძლება უფრო მაღალ დონეზეც, ვიდრე ნატოს წევრ ზოგიერთ ქვეყანაში. საქართველოს მონაწილეობა ნატოს მისიებში არის უფრო მაღალი, ვიდრე ნატოს წევრი ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში, თუმცა გასაგებია, რომ ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებების მიღების უკან ნატოს წევრ სახელმწიფოებში რომ კონსენსუსი იყოს, სხვა საკითხები დგას. იმისთვის, რომ უთანხმოება არ აჩვენონ მათ შიგნით, ამისთვის ხშირად კეთდება ისეთი განცხადებები, რომ რაღაცას ვერ ვაკმაყოფილებთ, – განაცხადა სუბარმა.

რაც შეეხება რუსეთის ფაქტორს, როგორც სუბარი ამბობს, რუსეთი, სამწუხაროდ, არის ანგარიშგასაწევი მოთამაშე, თუმცა, საქართველო და უკრაინა მაინც გახდებიან ნატოს წევრი.

– რუსეთი გლობალური მასშტაბით, სამწუხაროდ, არის ანგარიშგასაწევი მოთამაშე. ამას მეტყველებს ის შეხვედრაც, რომელიც უახლოეს ხანში იქნება შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და რუსეთის პრეზიდენტს შორის, თუმცა, საერთაშორისო საზოგადოება ყოველდღიური, დაჟინებული ზეწოლით და ურყევი პოლიტიკური პოზიციით მიაღწევს საბოლოოდ, რომ საქართველოს და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობაც იქნას აღდგენილი და რუსეთის გაფართოებისა და დამპყრობლური ამბიციებიც შევიწროვდეს.

გაფართოების სამიტი ეს არ არის, მაგრამ ამ საკითხზე მიღებული იქნება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, დეკლარაციები, რომლებიც კიდევ ერთხელ განამტკიცებს 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე დადებულ პირობას, რომ საქართველო და უკრაინა აუცილებლად გახდებიან ნატოს წევრები, – განაცხადა სუბარმა.

ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის დირექტორად მეუფე იაკობი დაინიშნა

ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის ხელმძღვანელად მეუფე იაკობი დაინიშნა. ამის შესახებ მეუფე იაკობმა მედიასთან თავად განაცხადა.

მეუფე იაკობის თქმით, გადაწყვეტილება საპატრიარქომ მიიღო.

მეუფე სპირიდონი, რომელიც ამ დრომდე ბავშვთა პანსიონს ხელმძღვანელობდა, პანსიონიდან საკუთარი ნებით წავიდა.

– მოხდა ისე, რომ მეუფე თავის ნებით ეპარქიაში დაბრუნდა. საპატრიარქოს გადაწყვეტილებაა, რომ სპირიდონი იყო დირექტორი და ახლა ვარ მე. ჩვენ მეუფე სპირიდონთან ერთად ვაპირებდით, გაგვეკეთებინა ეს ცვლილებები, რაც გასაკეთებელი იყო, მაგრამ იცით, რომ გარკვეული მოვლენების გამო მეუფეს ამის გაკეთება არ დასცალდა, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

მისი თქმით, აღმზრდელების რაოდენობის შემცირება საჭიროების მიხედვით გადაწყდება:

– ბავშვების საუკეთესო ინტერესებს რამდენი აღმზრდელიც სჭირდება, იქნება იმდენი. თქვენ ამაზე რატომ ნერვიულობთ?! აქ იმისთვის ვარ, რომ შევისწავლო ყველა საკითხი და მივხედო ყველა საკითხს. მე შემოვედი, რომ აქ გავეცნო სიტუაციას და ბავშვების საუკეთესო ინტერესები გავითვალისწინო, სოციალური მუშაკები მუშაობენ აქ და სრული ნდობა აქვთ. სოციალური მუშაკები სახელმწიფოს წარმოადგენენ და ზედმეტი აჟიოტაჟი საჭირო არ არის, – აღნიშნა მეუფე იაკობმა.

მას ჰკითხეს პანსიონში სახალხო დამცველის შეშვებაზე.

– ჯერ ადრეა მაგაზე საუბარი, – უპასუხა მეუფე იაკობმა.

გახარიას პარტიამ ბათუმში ოფისი გახსნა

გუშინ, 14 ივნისს, გიორგი გახარიამ ბათუმში პარტიის პირველი ოფისი გახსნა. გახარიასთან ერთად აჭარაში პარტია „საქართველოსთვის“ ყველა ლიდერი იმყოფებოდა. მათ შორის იყვნენ დეპუტატებიც.

რეგიონული ოფისის გახსნაზე „ოცნების“ წასულ პრემიერთან ერთად იყო აჭარის პოლიციის ყოფილი უფროსი, კონსტანტინე ანანიაშვილი.

პრეზენტაციაზე დამსწრეების უმრავლესობა „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრები და მხარდამჭერები იყვნენ, მათ შორის, საკრებულო ყოფილი და მოქმედი დეპუტატები, ასევე ბათუმის ყოფილი მერი, ჯემალ ანანიძე.

ახალი ოფისის გახსნაზე გახარიამ განაცხადა, რომ პრემიერის რანგში ბევრი რამ ქვეყანაში ვერ გააკეთა, მაგრამ ეს მოტივაციას აძლევს, რომ მომავალში აღნიშნული პრობლემები გადაჭრას.

– ნებისმიერი საკითხი, მათ შორის, ბათუმის, აჭარის პარტიული ცხოვრების მიმართულებით, იქნება კოლეგიალურად მიღებული, აქ იქნება ბორდი, რომელიც ჩართული იქნება აჭარის საკითხის გადაწყვეტაში.

ბევრი რამ გაკეთდა და ამაში მონაწილეობა მიღებული მაქვს, ბევრი რამ ვერ გაკეთდა და ეს არის ის პასუხისმგებლობა, რის გამოც ჩვენ აქ ვდგავართ, – აღნიშნა გიორგი გახარიამ.

ბათუმის პარტიის შტაბი „საქართველოსთვის“ უკვე რიგით მეორეა, პირველი ოფისი კი თბილისში გაიხსნა.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ჩვენ ივანიშვილის ბუტკის წევრი არ გავხდებით“

გიორგი გუგავა: „გახარია და ვასაძე კრიტიკულ სიტუაციაში აუცილებლად შერიგდებიან და გარიგდებიან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი გუგავა პასუხობს.

– ბატონო გიორგი, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. როგორია პოლიტიკური სურათი?

– პოლიტიკური სურათი, სამწუხაროდ, არც ისე სახარბიელოა. ოპოზიციის დიდმა ნაწილმა დაარღვია ის უმთავრესი დაპირება და ის უმთავრესი პოლიტიკური იარაღი, რაც ხელში ჰქონდათ, ბოიკოტის შესახებ. ზოგი გაურიგდა, ზოგი გაიყიდა და ზოგიც დამორჩილდა ივანიშვილს. ამან კი საკმაოდ მძიმე პოლიტიკური სურათი შექმნა. ჩვენ ვუყურებთ, შარლ მიშელის დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ განმუხტულიყო სიტუაცია ქვეყანაში, პოლარიზაცია შემცირებულიყო, დაპირისპირების ხარისხი შემცირებულიყო, ჩვენ ვნახეთ, რა გადაწყვეტილებები მიიღო პარლამენტმა.

– ამნისტიის კანონს გულისხმობთ?

– იგივე ამნისტიის კანონი, სამოქალაქო აქტივისტების შესახებ გაამკაცრეს კანონი, გაასამმაგეს ჯარიმების ოდენობა და ამავე დროს ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა გაზარდეს. თუნდაც იგივე რა გადაწყვეტილება მიიღეს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ეწერა დოკუმენტში და აქედან გამომდინარე მათ უარი უნდა ეთქვათ ამ გადაწყვეტილებაზე. მაინც დანიშნეს მოსამართლეები. მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისიამ უარყოფითი შეფასება მისცა, დოკუმენტში ჩაიწერა, ის, რომ არ შეიძლება დასაჯო პარტიები პოლიტიკური პოზიციის გამო და ბოიკოტის გამო, პერსონალურად ჩვენი დასჯა გადაწყვიტეს და ამისთვის კანონს ცვლიან.

– დაფინანსების შეწყვეტას გულისხმობთ?

– მხოლოდ ფინანსებს რომ ეხებოდეს, ვინ დაეძებს, ეს ფინანსები ისედაც კაპიკებია და პარლამენტში ერთ პირს აქვს იმხელა ხელფასი, რასაც ბარიერგადალახულ პარტიას აძლევენ. აქ საუბარია იმაზე, რომ გვართმევენ კომისიის წევრის დანიშვნის უფლებას, გვართმევენ უფასო სარეკლამო დროის გამოყენების უფლებას.

– ანუ, ვინც არ შევიდა, ასე ისჯება?

– ასეა. ერთადერთი შალვა ნათელაშვილია, ლეიბორისტული პარტიაა, ვინც უარი თქვა შეგუებოდა ივანიშვილს, გამხდარიყო მისი ბუტკის წევრი. შევიდა ყველა, მხოლოდ შალვა ნათელაშვილმა შეინარჩუნა ბოლომდე პრინციპულობა. ერთადერთი ჩვენი პარტიაა, რომლის წინააღმდეგაც იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული. ამდენად, ჩვენ ვუყურებთ, რომ გაუარესდა მდგომარეობა, ოლიგარქიული, ფეოდალური დიქტატურა მყარდება ქვეყანაში და, შესაბამისად, ამან გამოიწვია ყველაფერი. დღეს კიდევ არსებობს იმის საშუალება, რომ ოპოზიცია კვლავ ერთიანი გახდეს და ერთიანი ფრონტით შეუტიოს. მე ვგულისხმობ იმას, ვინც ნამდვილი ოპოზიციაა და არა ივანიშვილთან გარიგებული, თუ ისინი გამოაცხადებენ პარლამენტის ბოიკოტს. მით უმეტეს, ჩვენ ვუყურებთ, რომ მთლიანად დაირღვა ეს გარიგება.

– თავადვე ამბობთ, რომ დაირღვა. როდესაც ოპოზიციური ერთობა დარღვეულია, გაერთიანების იმედი მაინც გაქვთ?

– უპირველეს ყოვლისა, დარღვეულია იმ დოკუმენტის შინაარსი, რომელი დოკუმენტიც დაიდო. ვგულისხმობ შარლ მიშელის დოკუმენტს. რა პირობებიც დაიდო, ხელისუფლებამ ეს პირობები დაარღვია.

– არადა, ამბობენ, რომ ყველა პირობა ზედმიწევნით შევასრულეთო.

– ხომ ჩამოგითვალეთ ზემოთ, რამდენი პუნქტი დაარღვიეს. როგორ გაამკაცრეს კანონები. მოსამართლეებიც ურცხვად დანიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ სთხოვდა შეჩერებას ეს დოკუმენტი და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები.

– ოპოზიცია პარლამენტში შევიდა, მაგრამ „ოცნებასთან“ ვერაფერს გახდა. ჰქონდა ფასი ასეთ შესვლას? რა როლი აქვს დღეს ოპოზიციას პარლამენტში?

– მეც ამას გეუბნებით, რისთვის შევიდნენ?! სამწუხაროდ, სისტემის ნაწილი ხდებიან, მასკარადია და მეტი არაფერი ეს ყველაფერი. არის დებატები, ყვირიან, მაგრამ ყველა საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ხელისუფლება იღებს. არანაირი საშუალება არ რჩება, რომ ეფექტურად კვლავ გამოვიყენოთ ბოიკოტის რეჟიმი, რაც ჩვენ გავაკეთეთ და ბოლომდე ვასრულებთ ჩვენს სიტყვას. დღესაც ბოიკოტის რეჟიმში ვართ.

– არჩევნებია წინ, რა მოლოდინი გაქვთ?

– ჩვენ ვიბრძოლებთ მაქსიმალურად ბოლომდე. ვფიქრობთ, რომ ხელისუფლებასთან ბრძოლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში და ივანიშვილის დამარცხებას შევძლებთ მაშინ, თუ იქნება მაკონსოლიდირებელი ძალა ოპოზიციისა. მხოლოდ იდეით, პრინციპულობით და უღალატობით დავამარცხებთ ხელისუფლებას, სხვა შემთხვევაში ეს ბრძოლა განწირული იქნება.

– ხედავთ ამ განწყობას ოპოზიციაში, რაზეც ახლა საუბრობთ? საზოგადოება ვერ ხედავს.

– ჩვენმა პარტიამ ხომ დაამტკიცა, რომ ვართ უკომპრომისო, შეურიგებელი. ყველა ხედავს, რომ ვაჩვენებთ თავგანწირვის მაგალითს. როდესაც ჩვენ ვთხოვთ საკუთარ ამომრჩეველს, რომ არ დაექვემდებაროს სუსის შანტაჟს, მოსყიდვას, არ დაექვემდებაროს პროკურატურის, პოლიციის ძალადობას, მაშინ შენ უნდა იყო ამის მაგალითი, პოლიტიკური ლიდერი! პოლიტიკური პარტია უნდა იყოს ამის მაგალითი და სწორედ ამის მაგალითს ვაჩვენებთ ჩვენ. იმედი მაქვს, რომ ამ ბრძოლაში დიდი საზოგადოებრივი მხარდაჭერა გვექნება.

– საკმაოდ აქტიურობს გიორგი გახარია. რა აღარ დააბრალეს მას, ვისი პროექტი არ უწოდეს. რას იტყვით თქვენ, ვის თამაშს თამაშობს?

– გახარია არის რუსეთის სპეცსამსახურის პერსონა. ნახა, რომ შეირყა ივანიშვილის მდგომარეობა ქვეყანაში. რუსები ეჭვიანობენ, რადგან დასავლეთთან ზედმეტად შევიდა თამაშში ივანიშვილი, აქედან გამომდინარე, გააქტიურეს ახალი პროექტები, გახარია, ვასაძე და ასე შემდეგ. თუმცა კრიტიკულ სიტუაციაში ისინი აუცილებლად შერიგდებიან და გარიგდებიან ერთმანეთთან. ეს არის ერთი ხის სხვადასხვა მავნე შტო. ივანიშვილზე ერთ ცუდს არ ამბობს გახარია, ხომ ხედავთ. ამართლებს იმ პოლიტიკას, რასაც ამდენი ხანი ეწეოდა ხელისუფლება. მათ შორის განსხვავება რა არის? მარტო კობახიძეა ამ ქვეყნის უბედურება?!

რუსთავში გოგონებმა კაცის გამო იჩხუბეს

რუსთავში გოგონებმა კაცის გამო იჩხუბეს.

„ინფო რუსთავი“-ს ინფორმაციით, მესხიშვილის ქუჩაზე გვიან ღამით ორმა გოგომ მამაკაცის გამო ერთმანეთს შეურაცხყოფა მიაყენეს.

ადგილობრივების თქმით, მათ ხმაური და ჩხუბის ხმა შემოესმათ.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ერთ-ერთმა გოგომ იმ მამაკაცის მანქანაც დააზიანა, რომლის გამოც მოხდა ჩხუბი.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

პოლიციამ გოგონები გამოკითხვაზე გადაიყვანა.

დავით უსუფაშვილი: „ქართული დემოკრატია ინტენსიური მკურნალობის რეჟიმშია“

„დღეს ქართული დემოკრატია ინტენსიური მკურნალობის რეჟიმშია გადაყვანილი. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებშიც, თუნდაც გასული საპარლამენტო არჩევნების მსგავსი მოვლენები მოხდება, აქედან უკვე რეანიმაციაც აღარ გვიშველის“ – ამის შესახებ „ლელო – პარტნიორობა საქართველოსთვის“ წევრმა დავით უსუფაშვილმა გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

მისივე განმარტებით, ერთდროულად ძალიან ბევრ სასიცოცხლო ფუნქციას სჭირდება გამართვა, მათ შორის არის როგორც სასამართლო, ისე საარჩევნო ადმინისტრაცია, უსაფრთხოების სამსახურები, ფინანსური სახსრები პოლიტიკაში, გარე გავლენები, მათ შორის, ჩრდილოეთიდან.

როგორც უსუფაშვილმა განმარტა, ამ მიმართულებების გამართვაში საქართველოს საერთაშორისო მეგობრები ეხმარებიან, თუმცა პრობლემური სიტუაციიდან ქვეყანა მაინც დამოუკიდებლად უნდა გამოვიდეს.

– უამრავი ისეთი სასიცოცხლო სახელმწიფოებრივი ორგანო თუ ფუნქცია არის საფრთხის ქვეშ, რომ ჩვენ ვართ სწორედ ინტენსიური მკურნალობისა და მეთვალყურეობის რეჟიმში. გარე სამყაროდან ბევრი გვეხმარება, მაგრამ ჩვენ თავად უნდა შევძლოთ აქედან გამოსვლა. ეს არის ძალიან რთული ვითარება, ისევე, როგორც რეანიმაციაში შესული პაციენტი ვიცით, რომ არის რთულ მდგომარეობაში და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ჯანმრთელი გამოვიდეს იქიდან, დღეს ჩვენი სახელმწიფო და საქართველო ასეთ ვითარებაშია. გარანტირებულია ეს? არ არის გარანტირებული, იმიტომ, რომ ამ დონის პრობლემები ადგილობრივ არჩევნებს აქცევს ან ძალიან სერიოზული გარღვევის დასაწყისად, რომლიდანაც ჩვენ შეიძლება დიდი ენერგიები მივიღოთ და ძალიან სწრაფი ტემპით დავიწყოთ წინსვლა, პირველ რიგში, ეკონომიკის გაჯანსაღებით და სიღარიბის დაძლევით, ასევე საერთაშორისო ინტეგრაციით, მაგრამ თუ ამ არჩევნებშიც, თუნდაც გასული საპარლამენტო არჩევნების მსგავსი მოვლენები მოხდა, აქედან უკვე რეანიმაციაც აღარ გიშველის. ამ წუთის მდგომარეობით, საქმე არაუშავს რა მიდის. ეს არ არის უკვე ყველაფერი გასწორებული და სწორ გზაზე დამდგარი, არაუშავს რა მიდის საქმე, იმიტომ, რომ სახელისუფლებო სისტემაშიც, მე ვატყობ იმის გააზრებას, რომ ერთპარტიული მმართველობა დასრულდა, დასრულდა ეს ეპოქა. დღევანდელ ვითარებაში, მგონია, რომ „ოცნების“ შიგნით საკმაოდ ბევრია ახლად მისული ხალხიც და ბევრი ძველი სახეც, რომლებმაც უბრალოდ გაიაზრეს, რომ ერთპარტიული მმართველობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა ნიშნავს შესაძლოა ყველაფრის წაგებას. ამიტომ, მგონია, რომ ამ ტიპის პრაგმატული დამოკიდებულება ხვალინდელი პოლიტიკური დღისადმი, იქნება საწინდარი უკეთესი გარემოსი, – განაცხადა უსუფაშვილმა.

ამასთან, დავით უსუფაშვილმა ყოფილ პრემიერ-მინისტრზე, პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გიორგი გახარიაზე ისაუბრა.

უსუფაშვილის განმარტებით, დაჯდება თუ არა „ლელო“ ყოფილ პრემიერ-მინისტრ და ამჟამად პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერ გიორგი გახარიასთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან, ეს მასზეა დამოკიდებული.

„ოცნება“ გახარიას შეეკვრება“

ლევან ალაფიშვილი: „ვერანაირ პრობლემას გახარია „ოცნებას“ 43%-ის მოგროვებაში ვერ შეუქმნის“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, გიორგი გახარიამ განაცხადა, თუ ვინმეს ჰგონია, მაშინ რატომ ვერ გააკეთე – ამით დამაკომპლექსებს, ვერ დამაკომპლექსებს. პრემიერ-მინისტრის რანგში თუ ვერ გააკეთა, ნაკლები შესაძლებლობებით როგორ გააკეთებს. შეიძლება ეს კითხვა ამომრჩეველს გაუჩნდეს?

– ყველა პოლიტიკოსი უნდა იყოს მზად, რომ მის მიმართ არსებულ კითხვებს უპასუხოს. გახარია აცხადებს, რომ ის მზად არის ამ პასუხისმგებლობისთვის. ის აცხადებს, რომ 20 ივნისის მოვლენებზე პასუხისმგებელია და მზად არის ეს პასუხისმგებლობა მთელი ცხოვრება ატაროს. დაკომპლექსება სხვაგვარად რთულად წარმოსადგენია, რას უნდა ნიშნავდეს. პირდაპირ აღიარა, რომ მას გუნდში მხარდაჭერა არ ჰქონდა და ვერ შეძლო თუნდაც მელიას მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა. ახლა მეყოლება საკუთარი გუნდი პოლიტიკაში და მეტს შევძლებო.

– არჩევნებში როგორი შანსები აქვს?

– აქვს პოტენცია, რომ გარკვეულ მუნიციპალიტეტებში მიიღოს საკმარისი მხარდაჭერა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ უმრავლესობას გაუჭირდეს მისი პარტიის მონაწილეობის გარეშე ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება. მას შეეძლება გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა საკრებულოებში.

– ამ კითხვაზე პასუხი 43%-იანი ბარიერის გათვალისწინებით მაინტერესებდა. როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია დღის წესრიგში ვადამდელი არჩევნები დადგეს?

– გიორგი გახარია და სხვა ოპოზიციური პარტიები ერთად მმართველი პარტიის წინააღმდეგ გაერთიანებულ „ქართულ ოცნებას“, ცხადია, პრობლემას შეუქმნიან, მაგრამ ცალკე აღებული, მაგალითად, „ევროპული საქართველო“, „გირჩი“ ვერანაირ პრობლემას ვერ შეუქმნის „ქართულ ოცნებას“. იმედი მაქვს, ოპოზიცია აცნობიერებს და იცის, რომ ცალ-ცალკე ისინი ვერაფერს გახდებიან „ოცნების“ წინააღმდეგ.

– გახარია?

– გახარიაც ცალკე აღებული მათ რიგშია. ვერანაირ პრობლემას გახარია „ოცნებას“ 43%-ის მოგროვებაში ვერ შეუქმნის.

– გახარიასა და დანარჩენი ოპოზიციის თანამშრომლობას, თუნდაც ერთიანი კანდიდატის ირგვლივ, უშვებთ?

– გახარიამ ერთმნიშვნელოვნად გამორიცხა თანამშრომლობა „ნაციონალურ მოძრაობასთან“. თუმცა, ის არ გამორიცხავს კონკრეტულ საკითხებზე, როგორც თქვა, თუ ამას სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს, ყოველგვარი წითელი ხაზების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვერ გეტყვით, რა, როგორ შეიძლება განვითარდეს.

თუ პოლიტიკური პარტიები თავიანთ ვიწროპარტიულ ინტერესებს გვერდით გადადებენ, საერთო მიზნის მისაღწევად გაერთიანება შესაძლებელია.

– ივანიშვილის წერილის შემდეგ გახარიასა და „ოცნების“ თანამშრომლობა წარმოგიდგენიათ?

– თვითონ გახარიამ დაუშვა შესაძლებლობა, რომ ყველასთან ითანამშრომლოს.

– გახარიამ კი, მაგრამ „ოცნებამ“?

– თუკი მისთვის მნიშვნელოვანი იქნება სხვა პარტიის დახმარება 43%-ის ჭრილში, რატომაც არა, სულაც არ გამოვრიცხავ.

– სახელმწიფო გადატრიალებაში ბრალდებულთან? მოღალატესთან? მისი ეს შეფასებები ხელს არ შეუშლის „ოცნებას“?

– გავიწყდებათ, მალევე რა განცხადება მოაყოლა ამ შეფასებას კობახიძემ, რომ ეს იყო პოლიტიკური განცხადება. ეს იყო ერთჯერადი პოლიტიკური განცხადება, რომელიც ყველამ დაივიწყა და ცდილობენ საზოგადოებასაც დაავიწყონ. ამიტომ, ამ შემთხვევაში, როდესაც სასწორზე დადგება „ქართული ოცნება“ შეძლებს თუ არა ძალაუფლების შენარჩუნებას, რა თქმა უნდა, მას უღირს არათუ ამ განცხადებებისა თუ შეფასებების დავიწყება, მეტიც, ის ერთი წუთითაც არ დაფიქრდება, შეკრას თუ არა კოალიცია გახარიასთან. ცხადია, ის დაიწყებს მოლაპარაკებებს გახარიასთან მომავალი მთავრობის დაკომპლექტებასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„გახარია საშიშია როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის“

გიგა ბუკია: „ისეთი განცდაა, რომ ბიძინა ივანიშვილს მიაწოდეს წერილი, რომელიც მან გამოაქვეყნა“

მარიამ მჭედლიშვილი

ზოგიერთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პრობლემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, გიგა ბუკიას.

– ნინოწმინდის პანსიონის გარშემო განვითარებული მოვლენების გამო ერთმანეთს პარლამენტის შენობასთან დაუპირისპირდნენ „სირცხვილიას“ წევრები და გურამ ფალავანდიშვილი თავისი თანამოაზრეებით. რას იტყოდით აზრთა პოლარიზაციაზე ამ საკითხის გამო? ერთი მხარე სახელმწიფოს უმოქმედობაში ადანაშაულებს, მეორე – ეკლესიაზე თავდასხმაში.

– ამ პრობლემის გარშემო დიდი გაუგებრობა შეიქმნა. სახელმწიფოს ევალება კონტროლი არასრულწლოვნებზე და მათი უფლებების დაცვა, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი – სახელმწიფო დაწესებულებებში, საკუთარ სახლებსა თუ საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ პანსიონებში. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებულია შეთანხმება. ჩემი აზრით, ყველა პროცესი, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ ბავშვებზე ზრუნვის პროცესი უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე. მაშინ არ იქნება ამდენი გაუგებრობა, ურთიერთბრალდებები და რადიკალიზაცია. როცა ინფორმაცია დახურულია, პროცესები – დაფარული, მაშინ ხელ-ფეხი ეხსნებათ რადიკალებს ყველა მხრიდან. მათ ეძლევათ საკვები და საფუძველი აყალმაყალისათვის – ერთი მხარე წამოაყენებს ბრალდებებს, მეორე მხარე კი ამას გამოიყენებს ბრალმდებლებზე თავდასასხმელად. თუ სახელმწიფო იქნება გახსნილი, მაშინ არც ერთ რადიკალურ ფრთას არ მიეცემა დაპირისპირების და გამოსვლების საბაბი.

– პარლამენტს შევეხოთ. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ბარიერგადალახული პარტიების მოვალეობაა, შევიდნენ პარლამენტში და ხალხს ემსახურონ. რამდენად სწორია ბოიკოტში მყოფი პარტიების წინააღმდეგ კანონის მიღება? კანონპროექტით, რომელიც ჯერ იხილება, მანდატებზე უარის მთქმელ პარტიებს უწყდებათ დადგენილი პრივილეგიები, მათ შორის, დაფინანსება.

– ამის მომხრე არა ვარ. ბოიკოტში ჩართული პარტიებისათვის სასჯელის დაწესება მანკიერი პრაქტიკის განმეორებაა. ეს არის კანონის მორგება კონკრეტულ სიტუაციაზე. თუ აგირჩიეს, პარლამენტში უნდა შეხვიდე, მაგრამ თუ არ შედიხარ, ამის გამო სასწრაფოდ შექმნილი კანონით არ უნდა დაგსაჯონ. საკაშვილის მმართველობის დროს ხშირი იყო ამა თუ იმ კანონის, გადაწყვეტილების მორგება რაიმე შემთხვევაზე. ცუდია, რომ ეს ტრადიცია გრძელდება.

„ოცნებას“ 43%-იანი ბარიერის გადალახვა ძალიან გაუჭირდება“

– ამჟამად ბოიკოტზე უარი თქვა ყველამ, ელენე ხოშტარიასა და შალვა ნათელაშვილის გარდა. პოლიტიკური კრიზისი დამთავრებულია?

– პოლიტიკური კრიზისი იმის გამო არ შექმნილა, რომ ოპოზიცია უარს ამბობდა პარლამენტში მუშაობაზე. კრიზისი დაიწყო მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ პარტიის ოფისში გადაწყდა ნიკა მელიას დაკავება. ამას მოჰყვა საერთაშორისო გამოხმაურება და რეალური კრიზისი. მაშინ მმართველი პარტიის ოფისში მიღებული გადაწყვეტილება სწორი არ იყო. ამას ადასტურებს ის, რომ მას შემდეგ ყველაფერი მიმდინარეობს „ქართული ოცნების“ საზიანოდ. იგივე მემორანდუმი, ანუ შეთანხმება არ აწყობს მმართველ პარტიას.

– პირველ რიგში, გულისხმობთ იმას, რომ ადგილობრივ არჩევნებზე პარტიული სისტემით 43%-ზე ნაკლების მიღების შემთხვევაში მომავალ წელს ინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

– რასაკვირველია. ეს არანაირად არ შეესაბამება „ქართული ოცნების“ ინტერესს იმ დროს, როცა მან დაკარგა ამომრჩევლის დიდი ნაწილი. მას საქმე გაურთულა გახარიას გადადგომამ პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან და მის მიერ საკუთარი პარტიის შექმნამ.

– ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალ წელს ვადამდელი არჩევნები გველის?

– მე ასე მგონია. „ოცნება“ პანიკაშია. ამას ადასტურებს პარტიის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებები და შეთქმულების თეორიის გახმოვანება. ის ამტკიცებს, რომ შეთქმულებაში საკაშვილთან ერთად მონაწილეობდა გახარია. ხალხს ამის არ სჯერა. სხვათა შორის, გახარიას სახით ძალა დაინახეს როგორც „ქართული ოცნების“, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებმა. ყველამ ერთად დაიწყო მასზე შეტევა.

– ბიძინა ივანიშვილმაც შეაფასა გახარია თავის საჯარო წერილში. ამას როგორ ხსნით?

– ისეთი განცდაა, რომ ბიძინა ივანიშვილს მიაწოდეს წერილი, რომელიც მან გამოაქვეყნა.

– რატომ მიიჩნევთ კობახიძის განცხადებას შეთქმულების თეორიად?

– იმიტომ, რომ პრემიერ-მინისტრს არ სჭირდებოდა და არ უღირდა საკაშვილთან გარიგება. ამ ბრალდებაზე მტკიცებულებები არ გაგვიგია. კობახიძემ მოგვიანებით თქვა კიდეც, რომ ეს პოლიტიკური განცხადება იყო. გიორგი გახარიამ მკაფიოდ ახსნა, თუ რატომ გადადგა.

– პირველად მელიას დაკავება გააპროტესტა, მეორედ – ხელისუფლების ხალხთან კავშირის გაწყვეტა.

– გახარიამ ცალსახად თქვა, რომ მას არ აძლევდნენ პრემიერის ფუნქციების შესრულების საშუალებას. ის, რომ ყოფილი პრემიერი ქმნის პოლიტიკურ ორგანიზაციას, ეს სიძლიერის ნიშანია.

– ითვლება, რომ იგი ხმებს წაართმევს „ქართულ ოცნებას“.

– დარწმუნებული ვარ, რომ მას მხარს დაუჭერს არა მხოლოდ „ოცნების“ ამომრჩეველი. მოსახლეობას „ქართული ოცნებაც“ ყელში ამოუვიდა და ნაციონალური მოძრაობაც. არიან ელექტორალურად ჩამოუყალიბებელი ადამიანები. გახარიას პარტიას დიდი პოტენციალი აქვს. მას შეუძლია ე. წ. მესამე ცენტრის შექმნა. ამიტომ არის ის საშიში როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციისათვის.

– რეალურად, მზადებაა მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის?

– ამისთვის ყველა არ ემზადება. პარლამენტში შესულ პარტიებს, როგორც ვატყობ, ვადამდელი არჩევნები სულ არ უნდათ. არადა, ამაზე ბევრს ყვიროდნენ. არასახარბიელო მდგომარეობაშია „ქართული ოცნება“, რომელმაც ბიძინა ივანიშვილისა და გიორგი გახარიას წასვლის შემდეგ უამრავი ამომრჩეველი დაკარგა. ხალხის დიდი ნაწილი ამ ორი ადამიანის გამო აძლევდა ხმას მმართველ პარტიას. ასე რომ, „ქართულ ოცნებას“ 43%-იანი ბარიერის დაძლევა ძალიან გაუჭირდება.

ეკონომიკა

ქართულ ბაზარზე გაუყიდავი კარტოფილი ფერმერებმა რუსებს მიჰყიდეს

2020-21 სეზონური წლის ჭარბი მოსავლისა და დაბალი ფასების გამო რუსეთის მიმართულებით ქართული კარტოფილის ექსპორტი გაიზარდა. EastFruit-ის მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარ-მაისში საქართველოდან 5 მლნ დოლარის კარტოფილის (სათესლე კარტოფილის გამოკლებით) ექსპორტი მოხდა, რომლის 93% რუსეთის წილია. ბოლო სეზონის საექსპორტო ღირებულება 21%-ით მეტია ყველა წინა წელთან შედარებით, ხოლო ექსპორტის ძირითადი პერიოდი აპრილ-მაისია, რა პერიოდზეც 5 მლნ დოლარის შემოსავლის 85% მოდის.

აპრილ-მაისში საექსპორტე მოცულობა 11 ათასი ტონა იყო, რაც ბოლო 5 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 5-ჯერ მეტია. აქედან 79% ანუ 9,5 ათასი ტონა კარტოფილი რუსეთში გაიტანეს, სადაც საექსპორტო ფასი 0,40-0,45 დოლარი იყო, ფერმერებს კი 0,27-0,35 დოლარს უხდიდნენ, რაც მათთვის მეტად მისაღებ ფასს წარმოადგენდა.

სწორედ აპრილ-მაისი იყო, როცა ფერმერებს მოსავალი გაუყიდავი დარჩათ და მარაგი ისე გაეზარდათ, რომ გადასაყრელიც კი გაუხდათ. ფერმერებმა სიტუაციიდან ორი გამოსავალი იპოვეს: კარტოფილი ექსპორტზე გაეტანათ ან ისევ მიწაში ჩაეფლოთ. მომავალ სეზონზე ფასების ზრდის იმედად, მორჩენილი კარტოფილი ხელახლა ჩათესეს. ამდენად, თუკი ამინდმა გაამართლა, სექტემბერში კვლავ კარტოფილის ჭარბი მოსავალია მოსალოდნელი.

EastFruit-ის შეფასებით, რუსეთში ექსპორტი სწორედ ამ გადაუდებელმა აუცილებლობამ განაპირობა, რაც სულაც არ ნიშნავ იმას, რომ საქართველომ კარტოფილის რუსულ ბაზარზე საექსპორტო ფანჯრის გამოყენება დაიწყო. ეს ფანჯარა, როგორც წესი, წლის მეორე კვარტალში ჩნდება, რადგან რუსეთი ამ პერიოდში კარტოფილის გარკვეული მოცულობის იმპორტს ეწევა.

„გახდება თუ არა რუსეთში ექსპორტი სისტემატური, თუ დროებით, ერთჯერად შესაძლებლობად დარჩება, ეს მხოლოდ ქართველ ფერმერებზეა დამოკიდებული“ – წერს პორტალი, რომლის შეფასებით, ქართველ ფერმერებს იმპორტიორებთან ურთიერთობის გამოცდილება ნაკლებად აქვთ.

ქართული კარტოფილის ძირითადი საექსპორტო მიმართულება აზერბაიჯანია. როგორც წესი, აზერბაიჯანელი გადამყიდველები ჩამოდიან საქართველოში, კარტოფილს ყიდულობენ და სატვირთო მანქანებით უკან ბრუნდებიან, მაგრამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აზერბაიჯანელების მხრიდან დიდი მოთხოვნა აღარ ყოფილა და, როგორც ჩანს, ერთჯერადად აზერბაიჯანულს რუსული სატვირთო მანქანები ჩაენაცვლა.

„კარტოფილის მინდვრებზე ამჯერად რუსული სატვირთო მანქანები გამოჩნდნენ, რაც იშვიათი შემთხვევაა, რადგან ქართულ კარტოფილს ადგილზე, როგორც წესი, აზერბაიჯანელი ტრეიდერები ყიდულობენ“ – წერს პორტალი.

EastFruit-ის მონაცემებით, რუსეთში ქართული კარტოფილის ექსპორტის წლიური ღირებულება 650 ათას დოლარს არასდროს აღემატებოდა, აპრილ-მაისში კი მან 4 მლნ დოლარს გადააჭარბა.

ბპნ

„ბანკმა სესხის ბოლო ტრანში სასაცილო მიზეზის გამო არ მოგვცა

„აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარი, თელავში მოქმედი სასტუმრო „ზუზუმბო“ გაფართოებას ვერ ასრულებს. მიზეზი კომერციული ბანკის მიერ სესხის ბოლო ტრანშზე უარის თქმა გახდა. როგორც „ბიზნეს-პრესნიუსთან“ საუბრისას სასტუმროს მფლობელი შალვა ორკოდაშვილი აცხადებს, „ჩვენი სასტუმრო 2015 წლიდან ფუნქციონირებს. ნელ-ნელა გავზარდეთ მასშტაბი. ახლა, სასტუმრო 42 ნომერს აერთიანებს თავისი დარბაზით. უცხოელ სტუმრებს ვთავაზობთ გასტრონომიულ ტურიზმს. ძირითადად ვთანამშრომლობდით ტურისტულ კომპანიებთან, თუმცა, როგორც ყველასთვის, ჩვენთვისაც შეწყდა სტუმრების მიღება.

ინვესტიცია რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. ბოლოს, „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარები გავხდით. შარშანწინ გვქონდა 20 ნომერი და მასშტაბის გაზრდის მიზნით გვერდზე ვიყიდეთ ნაკვეთი და გავაფართოვეთ სასტუმრო. 800 000 ლარი დაგვიმტკიცა ბანკმა სესხის სახით, რომელიც ტრანშებით გამოგვქონდა და ბოლო ნაწილი აღარ მოგვცეს. იმედი აღარც მაქვს, რომ მოგვცემენ. მიზეზი არის ძალიან სასაცილო – გვითხრეს, რომ პანდემიაა და სტუმრები არ გეყოლებათო. ამ დროს, 3 წლის განმავლობაში „აწარმოე საქართველოში“ გვიხდის პროცენტს. ძალიან უკმაყოფილო ვარ ბანკის პოლიტიკით. ხვალ ტურისტების შემოდინება რომ ჩვეულ რეჟიმში დაიწყოს, მე ფაქტობრივად, დაურულებელი და მოუვლელი ეზო მექნება“ – აცხადებს სასტუმრო „ზუზუმბოს“ მფლობელი „ბიზნესპრესნიუსთან“.

„ბიზნესპრესნიუსი“ „ზუზუმბოს“ პრობლემის შესახებ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დაუკავშირდა. მათ პოზიციას პასუხის მიღებისთანავე შემოგთავაზებთ.

ბპნ

სახელმწიფო საწარმოები ისევ ვერ გაიყიდა

8 სახელმწიფო საწარმოდან, რომელსაც მთავრობა აუქციონზე ყიდდა, არც ერთი არ გაიყიდა.

მთავრობამ სახელმწიფო საწარმოები აუქციონზე პროგრამის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში შესთავაზა.

მორიგ აუქციონზე, რომელიც დღეს დასრულდა, გამოტანილ სახელმწიფო ქონებებს შორის იყო:

ზუგდიდის ფარმაცია – 100%-იანი წილი, 306 000 ლარი; (არ შედგა)

ხაშურის მინის ტარა (633 211 აქცია, 23.0935%) – 747 200 ლარი; (არ შედგა)

დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზირებული ეპიდზედამხედველობის ცენტრი (100%-იანი წილი) – 246 000 ლარი; (არ შედგა)

ცეკავშირის ზუგდიდის სასურსათო კომბინატი (51%-იანი წილი, 27 246 აქცია) – 1 014 000 ლარი; (არ შედგა)

ბათუმში საზღვაო ტექსერვისი (100%-იანი წილი) – 2 263 800 მლნ ლარი; (არ შედგა)

შპს „დემეტრე 96“-ის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 100% წილი – 3 921 000 ლარი; (არ შედგა)

თერმული წყლები (100%-იანი წილი) -1 511 000 ლარი; (არ შედგა)

უნიონი (100%-იანი წილი) – 399 000 ლარი. (არ შედგა)

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებასთან დაკავშირებით მთავრობის გეგმის შესახებ წლის დასაწყისში გახდა ცნობილი.

ამ პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო საწარმოებიდან მხოლოდ 2 ქონება გასხვისდა:

შპს „ჭიათურის ავტოსადგურის“ 49%-იან წილზე, რომლის საწყისი ფასი 19 000 ლარი იყო, აუქციონზე კი 21 000 ლარად გაიყიდა.

თბილისის №1 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის 100%-იან წილზე, რომლის საწყისი ფასი 266.000 ლარი იყო, აუქციონზე კი 268 000 ლარად გაიყიდა.

რატომ გაითიშა დენი მთელ საქართველოში

გუშინ, 14 ივნისს, საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილში დენი გაითიშა. ამასთან დაკავშირებით „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ განცხადება გაავრცელა.

„დღეს, 14 ივნისს, 14:00 საათზე, ავარიულად გამოირთო 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთი“ და ჰიდროელექტროსადგური „ენგურჰესი“, რის გამოც ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდა საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ავარიის ლიკვიდაციის სამუშაოები. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ბოდიშს უხდის მომხმარებელს აღნიშნული შეფერხების გამო“ – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოში ყოველი მე-7 ადამიანი ღარიბია

საქართველოში თითქმის ყოველი მე-7 ადამიანი ღატაკია. სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლო, მაისის სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში საარსებო შემწეობას 551 638 ადამიანი იღებს, რაც იანვართან შედარებით 19 396-ით მეტია, წლის დასაწყისში შემწეობას 532.242 ადამიანი იღებდა.

ერთ მილიონს გადააჭარბა სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობამაც, ანუ მათი რიცხვი, ვინც თვლის, რომ ღარიბია და დახმარებას საჭიროებს. უფრო კონკრეტულად, 2021 წლის მაისში ასეთი ადამიანების რიცხვი შეადგენდა 1 049 586-ს, წლის დასაწყისში კი 1 020 375-ს.

სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, დღეს საქართველოში 3 728 600 ადამიანი ცხოვრობს, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში თითქმის ყოველი მე-7 ადამიანი ღატაკია და ფულად შემწეობას სახელმწიფოსგან იღებს, თითქმის ყოველი მე-4 კი ფიქრობს, რომ ღარიბია და მას დახმარება სჭირდება.

სენაკი-ხორშის გზაზე ახალგაზრდა კაცი დაჭრეს

სენაკი-ხორშის გზაზე ახალგაზრდა კაცი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ფეხში დაჭრეს. შემთხვევა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. მომხდარზე გამოძიება 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და 236-ე მუხლებით (იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება) დაიწყო.

შსს-მ პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით ქუთაისში 1 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, 1992 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ზ.კ. ქუთაისში დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 10 ივნისს, ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, ზ.კ.-ის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მიმდინარე საგამოძიებო მოქმედების – პირადი ჩხრეკის დროს, ბრალდებული ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომელს – 1986 წელს დაბადებულ დ.გ.-ს თავს დაესხა და ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა.

სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით პოლიციელზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

„აიპლუსის“ გაქურდვის ბრალდებით 17 წლის გ.რ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული გ.რ., ქურდობის ბრალდებით, შიდა ქართლში დააკავეს. ამის შესახებ „ინტერესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

როგორც უწყების ინფორმაციაშია აღნიშნული, დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 11 ივნისს, ფიზიკური ძალის გამოყენებით ჩაამსხვრია თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე მაღაზია „აიპლუსის“ ფასადზე დამონტაჟებული მინის ვიტრინა, რის შემდეგ გ.რ. სავაჭრო ობიექტში შევიდა და მობილურ ტელეფონებს ფარულად დაეუფლა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მეორე დღეს, შიდა ქართლში დააკავეს.

ნაქურდალი ტელეფონების ნაწილი ამოღებულია ნივთმტკიცებად.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სადგომში ან საცავში შეღწევით ჩადენილ ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

კრწანისის ქუჩაზე ავარიის მსხვერპლთა რაოდენობა გაიზარდა

კრწანისის ქუჩაზე მომხდარი ავარიის შედეგად დაშავებული კიდევ ერთი, შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ნიუ ჰოსპიტალში“ განუცხადეს, ამჟამად კლინიკაში სამი პაციენტია მოთავსებული, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

მათივე განმარტებით, ორ ადამიანს ოპერაცია ჩაუტარდა, მათ შორის, ერთ-ერთი არასრულწლოვანია.

– ერთი პაციენტი არის რეანიმაციულ განყოფილებაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა, – განმარტავენ „ნიუ ჰოსპიტალში“.

კრწანისის ქუჩაზე ავარია 12 ივნისს მოხდა. სატვირთო ავტომანქანა რამდენიმე მანქანას დაეჯახა. მომხდარის შედეგად 3 ადამიანი გარდაიცვალა. შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

საბურთალოზე ქუჩაში 70 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

გუშინ, 14 ივნისს, თბილისში, შარტავას ქუჩაზე, პოლიცია იყო მობილიზებული. ქუჩაში 70 წლამდე კაცი გარდაიცვალა.

თვითმხილველების ინფორმაციით, კაცი შეუძლოდ გახდა, დაეცა და გარდაიცვალა.

თამარ ბაჩალიაშვილის კომპანია უცხოელებს ბარათებიდან ფულს ჰპარავდა და სუსთან თანამშრომლობდა

უკავშირდება თუ არა თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილი მისი დამსაქმებელი კომპანიის ფარულ ოპერაციებს – „მთავარის“ ჟურნალისტმა დათო აბრამიშვილმა მიაკვლია გარდაცვლილი პროგრამისტის მონაცემთა ბაზას, სადაც ჩანს, რაზე მუშაობდა ბაჩალიაშვილი სიცოცხლის ბოლო პერიოდში.

აღმოჩნდა, რომ ბაჩალიაშვილის კომპანია უცხოელ კლიენტებს ბარათებიდან ფულს ჰპარავდა და თანამშრომლობდა სუს-თან პირადი ინფორმაციის უკანონოდ მოსაპოვებლად. შესაძლოა, მისი სიკვდილიც სწორედ ამ ფარულ საქმიანობას უკავშირდებოდეს.

ეს არის ძალიან სახიფათო, ხშირად, სიცოცხლისთვის სახიფათო საქმიანობა, რომელშიც უამრავი ქართველი ახალგაზრდაა ჩართული ისე, რომ თქვენ ამის შესახებ ეჭვიც კი არ გიჩნდებათ, შესაძლოა, თქვენი შვილიც ამით არის დაკავებული და მას უზარმაზარ ფულს უხდიან ასეთი უკანონო ოპერაციების შესრულებისთვის.

ახალგაზრდები, რომლებსაც ესმით კომპიუტერთან ურთიერთობა და იციან უცხო ენა, არიან რისკის ქვეშ, რომ ამ მაღალანაზღაურებადი დანაშაულებრივი საქმიანობის მახეში გაებნენ.

„მთავარი არხის“ სიუჟეტის შემდეგ თამარ ბაჩალიაშვილის დედა თეონა თამაზაშვილი შვილის სიკვდილის საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს.

– ნორვეგიაში რომ უნდოდა თავშესაფრის ძებნა, სუს-ს არ გაუჭირდებოდა ამის დადგენა, რომ თამუნამ იქ მოითხოვა თავშესაფარი და არიქა, იქ იმიტომ უნდა მოეკლათ, რომ იქ არ გახმაურებულიყო ამათი მონაწილეობაც. როცა გაირკვა ეს ყველაფერი, იმიტომაც უნდოდა საზღვარგარეთ წასვლა და ფარდის ახდა ამ ყველაფერზე, შეეწირა კიდეც ამ ყველაფერს.

თუ თვითონ მიზანმიმართულად და შეგნებულად ჩაერთვებოდა, მაშინ ცოცხალი იქნებოდა, როგორც არიან სხვები შეგნებულად ჩართულები. ძალლსნები არიან ამაში გარეული, რადგანაც დააფარეს ხელი ამ ყველაფერს და ჩაფარცხეს გამოძიება და დახურეს საქმე, – თქვა თეონა თამაზაშვილმა.

ბაჩალიაშვილის დედას ამ ხელისუფლების პირობებში ობიექტური გამოძიების იმედი არ აქვს.

თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატები საქმეზე გამოძიების განახლებას ითხოვენ. მათი თქმით, „პოსტ ფაქტუმში“ გასული სიუჟეტის შემდეგ ისეთი გარემოებები გამოიკვეთა, რომლებითაც პროკურატურა უნდა დაინტერესდეს.

– საგამოძიებო უწყება საზოგადოებას აწვდიდა იმ მტკიცებულებებს, რაც მას სჭირდებოდა თავისი ვერსიის დასადასტურებლად. ჩვენ ვნახეთ სხვა ჩანაწერებიც, სადაც სულ სხვა სახით ვნახეთ ბაჩალიაშვილი. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ საქმეზე განახლდეს გამოძიება, დაინტერესდეს ხელისუფლება, ის უწყებები, რომლებიც ამ საქმეზე მუშაობდნენ და დაჟინებით გვიმტკიცებდნენ, რომ ეს იყო ჩვეულებრივი, ბანალური თვითმკვლელობა და უნდა გაეცეს ამ კითხვებს პასუხი, – თქვა ადვოკატმა ეკა ქობესაშვილმა.

ოჯახის კიდევ ერთი ადვოკატი, მიხეილ რამიშვილი ამბობს, რომ გამოძიებას არაფერი გაუკეთებია და კითხვები, რომლებზეც პასუხი უნდა გაეცა, გამოტოვა.

– საქმე დაიხურა, რათა ჩვენ სრული წვდომა არ გვქონოდა იმ მასალაზე, რაც ჰქონდა გამოძიებას, – თქვა მან.

თამარ ბაჩალიაშვილი 2020 წლის 18 ივლისს გაუჩინარდა. 23 წლის პროგრამისტი სათვალთვალო კამერებმა ბოლოს თეთრიწყაროს რაიონში დააფიქსირეს.

რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ, ის სწორედ თეთრიწყაროს ტყეში, საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს.

პროკურატურამ ნინოწმინდის პანსიონის საქმეზე დაკავებულ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში აღსაზრდელების მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში მოწმის სახით გამოკითხული პირის მიმართ მუქარის გამო დაკავებულ პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა აღნიშნული პირი (ჩ.გ.), 2021 წლის 11 ივნისს დააკავეს.

გამოძიების დაწყების საფუძველი მოწმის ადვოკატის განცხადება გახდა, რომლის თანახმადაც მას სიცოცხლის მოსპობით საკუთარი ბიძა ემუქრებოდა.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე გამოძიება სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დაიწყო.

ბრალდების მხარე სასამართლოს ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით მიმართავს.

„პროკურატურამ მოწმის სახით გამოკითხული პირის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე, ჩ.გ.-ს ბრალდება წარუდგინა. საქართველოს პროკურატურამ ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში აღსაზრდელების მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში მოწმის სახით გამოკითხული პირის გ.ჩ.-ს მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე, ჩ.გ.-ს ბრალდება წარუდგინა.

გ.ჩ. ცნობილია დაზარალებულად და შეეთავაზა მისი და ოჯახის წევრების თავშესაფარში გადაყვანა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ჩ.გ. 2021 წლის 11 ივნისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით წარედგინა.

გამოძიების დაწყების საფუძველი გ.ჩ.-ს ადვოკატის განცხადება გახდა, რომლის თანახმად, ნინოწმინდის პანსიონთან დაკავშირებით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში, მოწმის სახით გამოკითხულ პირს – გ.ჩ.-ს სიცოცხლის მოსპობით საკუთარი ბიძა – ჩ.გ. ემუქრებოდა. აღნიშნული განცხადებით მომართვისთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, რა დროსაც გამოიკითხა გ.ჩ., რომელმაც გამოძიებას მიაწოდა ინფორმაცია ბიძის ჩ.გ.-ს მიერ მის მიმართ განხორციელებული მუქარის, კერძოდ, სიცოცხლის მოსპობის თაობაზე. ასევე, გამოიკითხა გ.ჩ.-ს მეუღლე.

პროკურატურა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ დრომდე თავს იკავებდა აღნიშნული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების კომენტირებისგან. ამასთან, ადვოკატი და დაზარალებული გ.ჩ. ითხოვდნენ საგამოძიებო მოქმედებების კონფიდენციალურად ჩატარებას იმ მიზეზით, რომ მოწმის მიმართ მუქარა ხორციელდებოდა უშუალოდ ოჯახის წევრის მხრიდან და საფრთხე იყო რეალური. მიუხედავად დაზარალებულის სურვილისა, გარკვეული არასამთავრობო ორგანიზების წარმომადგენლების მხრიდან მოხდა აღნიშნული ფაქტის გახმაურება, რაც მიგვაჩნია, რომ აზიანებს დაზარალებულის ინტერესებს და ხელს უშლის გამოძიების ეფექტიანად წარმართვას.

ბრალდების მხარე, ჩ.გ.-სთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“ – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 299 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 299 ფაქტი გამოავლინა. ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 299 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 51 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 23 საათიდან დილის 4 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 201 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 47 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

მერსედესი ვოლტის კურიერს დაეჯახა

ავარია მოხდა აღმაშენებლის ხეივანზე. შემთხვევა 13 ივნისს გვიან ღამით მოხდა. ერთმანეთს „მერსედესის“ მარკის ავტომობილი და „ვოლტის“ მოტოციკლი შეეჯახა. „ვოლტის“ კურიერი მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოშია გადაყვანილი. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ადგილზე რამდენიმე საპატრულო ეკიპაჟი და სახანძრო-სამაშველო სამსახური იყო მობილიზებული.

შეჯახების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. გამოძიება სსკ 276 მუხლით არის აღძრული, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

საგარეჯოში მაღაზია დააყაჩაღეს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაღაზია „დრაივი“ დააყაჩაღეს. შემთხვევა სოფელ კაკაბეთში 12 ივნისს მოხდა.

ამ დრომდე დაუდგენელი პირების მიერ სადღეღამისო მაღაზიიდან წაღებულია 1.400 ლარამდე თანხა.

მომხდარზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

ისრაელის ახალი პრემიერი ნაფტალი ბენეტი გახდა

ნეთანიაჰუ: „ჩვენ მალე დავბრუნდებით“

ისრაელის პარლამენტმა ქვეყნის ახალი კოალიციური მთავრობა დაამტკიცა.

ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრი მემარჯვენე ნაფტალი ბენეტი გახდა. მან პოსტზე ბენიამინ ნეთანიაჰუ შეცვალა, რომელიც ამ თანამდებობას 12 წლის განმავლობაში იკავებდა.

ბენეტი პრემიერის პოსტზე 2023 წლის სექტემბრამდე იქნება, შემდეგ კი ძალაუფლებას 2 წლით ცენტრისტების პარტია იეშ ატიდის ლიდერს, იაირ ლაპიდს, გადასცემს. ნეთანიაჰუ პარტია „ლიკუდის“ თავმჯდომარედ დარჩება და ისრაელის ოპოზიციის ლიდერი გახდება.

მსოფლიო ლიდერები ისრაელში ახალი მთავრობის დამტკიცებას ეხმიანებიან. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი აცხადებს, რომ მოუთმენლად ელის ნაფტალი ბენეტთან მჭიდრო თანამშრომლობას.

– გერმანიასა და ისრაელს ერთმანეთთან უნიკალური მეგობრობა აკავშირებთ და ჩვენ ამ მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცება გვსურს. ამის გათვალისწინებით, მოუთმენლად ველი თქვენთან მჭიდროდ თანამშრომლობას, – ნათქვამია ანგელა მერკელის განცხადებაში.

ავსტრიის კანცლერი სებასტიან კურცი ნაფტალი ბენეტს პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებას ულოცავს და აცხადებს, რომ მოუთმენლად ელოდება მასთან მუშაობას.

„ავსტრია ისრაელის, როგორც ებრაული და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთგულია და მის გვერდით დარჩება“ – წერს კურცი „ტვიტერზე“.

ნაფტალი ბენეტსა და იაირ ლაპიდს ახალი მთავრობის ფორმირებას გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი, დომინიკ რააბიც ულოცავს. მისი თქმით, მოუთმენლად ელის გაერთიანებულ სამეფოსა და ისრაელს შორის „უსაფრთხოების, ვაჭრობისა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე თანამშრომლობას და რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით მათთან ერთად მუშაობას.“

კანადის პრემიერ-მინისტრის, ჯასტინ ტრუდოს განცხადებით, მას ნაფტალი ბენეტსა და იაირ ლაპიდთან თანამშრომლობის დიდი სურვილი აქვს. მისი თქმით, ორი ქვეყნის ლიდერებმა უნდა გამონახონ „კანადასა და ისრაელს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცების გზები“, მათ შორის ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულების საფუძველზე. ჯასტინ ტრუდომ ასევე მადლობა გადაუხადა ნეთანიაჰუს „წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პარტნიორობისთვის“.

პალესტინის პრეზიდენტის მაჰმუდ აბასის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ მთავრობის ცვლილება ისრაელის შიდა პოლიტიკის საკითხია და პალესტინის მოთხოვნები იგივე რჩება.

–– ეს არის ისრაელის შიდა საქმე. ჩვენი პოზიცია ყოველთვის მკაფიო იყო. ჩვენ გვსურს პალესტინის სახელმწიფო 1967 წლის საზღვრებში, რომლის დედაქალაქი იერუსალიმი იქნება, – განაცხადა აბასის პრესსპიკერმა ნაბილ აბუ რუდეინემ.

ისრაელში ახალი მთავრობის ფორმირებას ეხმიანება ბენიამინ ნეთანიაჰუ და აცხადებს, რომ ხელისუფლებაში მალე დაბრუნდება.

„ჩვენ დავბრუნდებით – და უფრო სწრაფად, ვიდრე თქვენ ფიქრობთ“ – წერს ნეთანიაჰუ „ტვიტერში.“

ჯო ბაიდენი: „მინდა მთელმა ევროპამ იცოდეს, რომ აშშ თქვენთანაა“

ნატოს წესდების მეხუთე მუხლი წმინდა ვალდებულებაა. მინდა მთელმა ევროპამ იცოდეს, რომ აშშ თქვენთანაა, – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ნატოს სამიტის გახსნამდე განაცხადა.

მისი თქმით, ბოლო წლებში უფრო ცხადი ხდება, რომ ნატო ახალი გამოწვევების წინაშე დგას.

– ჩვენ ვხედავთ რუსეთს, ასევე ჩინეთს, რომელიც არ იქცევა იმის შესაბამისად, რისი იმედიც ჩვენ გვქონდა, – აღნიშნა ბაიდენმა.

მისი თქმით, ნატო კრიტიკულად მნიშვნელოვანია აშშ-ისთვის, იმის შესაბამისად, რისი იმედიც ჩვენ გვქონდა, – აღნიშნა ბაიდენმა.

მისი თქმით, ნატო კრიტიკულად მნიშვნელოვანია აშშ-ისთვის, ალიანსის წესდების მეხუთე მუხლი კი „წმინდა ვალდებულებაა.“

– მსურს გარკვევით განვაცხადო, ნატო კრიტიკულად მნიშვნელოვანია აშშ-ის ინტერესებისთვის. ნატოს წესდების მეხუთე მუხლი წმინდა ვალდებულებაა. 11 სექტემბერს, როდესაც ჩვენ თავს დაგვესხნენ, ნატომ დაუყოვნებლივ დაგვიჭირა მხარი, – აღნიშნა ბაიდენმა.

ნატოს წესდების მეხუთე მუხლი ალიანსის წევრებს ერთმანეთის დაცვას ავალდებულებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მოზარდი წყალში გადახტა და დედა-შვილი დახრჩობას გადაარჩინა

ირლანდიის ქალაქ კარლოუს მკვიდრი მოზარდი უყოყმანოდ გადაეშვა წყალში, რათა ქალი და მისი გოგონა დახრჩობისგან ეხსნა. 17 წლის მაილი დორანი მდინარე ბაროუს მახლობლად სეირნობდა, როდესაც დახმარების თხოვნის განწირული ძახილი გაიგონა.

– როდესაც მდინარესთან მივირბინე იმის სანახავად, თუ რა ხდებოდა, დავინახე, რომ ქალი და ბავშვი იხრჩობოდნენ, – იხსენებს მოზარდი.

ყმაწვილი დაუყოვნებლივ წყალში გადაეშვა და დედა და მისი 13 წლის გოგონა ნაპირზე ამოიყვანა. მოგვიანებით მან აღიარა, რომ მსჯელობისა და სამაშველო რგოლის მოძებნის დრო არ ჰქონდა. გადარჩენილი ქალის დედამ მოზარდს გამოჩენილი სიმამაცისთვის მადლობა გადაუხადა.

– ის ჩვენი გმირია და მიგვაჩნია, რომ ყველამ უნდა იცოდეს იმის შესახებ, რაც მან გააკეთა. მან საკუთარი სიცოცხლით გარისკა ჩემი ოჯახის გადასარჩენად. ჩვენ სიცოცხლის ბოლომდე მისი მოვალენი ვიქნებით. მისმა ოჯახმა მისით უნდა იამაყოს, მან კი – საკუთარი თავით, – განაცხადა ქალმა.

მადლიერების ნიშნად ირლანდიელმა ქალმა დორანის კანდიდატურა დახრჩობისგან გადარჩენის დაჯილდოებაზე წარადგინა.

ბრიტანეთში ცხრა წლის ნარკოდილერი დააკავეს

დიდ ბრიტანეთში ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ნარკოტიკებით მოვაჭრე დაიჭირეს. ნარკოდილერი დაწყებითი სკოლის მოსწავლეა, ცხრა წლის და ჯერჯერობით მისთვის ბრალდების წაყენება შეუძლებელია.

პოლიციამ ნარკოტიკების შენახვისთვის, შემდგომში მისი გაყიდვის მიზნით, დააკავა ბიჭი. თუმცა ინგლისსა და უელსში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონი ათი წლის ასაკიდან იწყებს მოქმედებას. სწორედ ამიტომ ვერ ხერხდება ჯერჯერობით ბავშვისთვის ბრალის წაყენება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ბიჭი შესაძლოა ნარკოტიკებს უფროსი ძმის ან დისთვის ინახავდა.

– ეს ცხრა წლის ბავშვი დიდი ალბათობით დაკავშირებული იყო მოზრდილთან, რომელსაც რისკის თავიდან აცილება სურდა, – განაცხადა ყოფილმა დამნაშავემ, ამჟამად კი სოციალურმა მეწარმემ და ორატორმა ჯუნიორ სმარტმა.

ბრიტანეთის კუნძულებს მკვლელი-კრაზანების შემოსევა ემუქრება

ბრიტანეთის ჯერსის კუნძულებს აზიური კრაზანების, იგივე მკვლელი-კრაზანების შემოსევა ემუქრება.

ექსპერტების აზრით, 2021 წელს კუნძულებზე კრაზანების რაოდენობამ შესაძლოა რეკორდულ დონეს მიაღწიოს. წლის დასაწყისიდან უკვე 63 დედა კრაზანაა აღმოჩენილი. 38 მათგანი საზოგადოების წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს, კიდევ 25 ხაფანგში გაება. ეს მაჩვენებელი უახლოვდება 2019 წელს დარეგისტრირებულ რეკორდს, როდესაც ჯერსიზე 69 დედა კრაზანა აღმოაჩინეს.

კუნძულ ჯერსიზე აზიურ კრაზანებთან ბრძოლის კოორდინატორმა ალასტერ კრისტიმ ამ ციფრს საგანგაშო უწოდა, თუმცა ამავე დროს ხალხს მოუწოდა, პანიკაში არ ჩავარდნენ.

– ჩვენ 2019 წლის მაჩვენებლის გადაფარვის გზაზე ვიმყოფებით, თუმცა იმ წელს მათი მცირე რაოდენობით დაჭერა მოხერხდა, ახლა კი გაცილებით უკეთ ვმუშაობთ, – განმარტა კრისტიმ.

კრაზანების შემოსევასთან ეფექტურად საბრძოლველად კუნძულზე მოხალისეთა გუნდი შეიქმნა. კუნძულის მცხოვრებლებს მოუწოდებენ, შეამოწმონ სარდაფები, ავტოფარეხები და სხვადასხვა სათავსები კრაზანების ბუდის აღმოსაჩენად და მათი ნახვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ აზიურ კრაზანებთან ბრძოლის კომისიას.

ქალს სოლიდური თანხის მოგების შემდეგ იმედები გაუცრუვდა

ჩინელმა ქალმა ლატარიაში სამომხმარებლო კუპონებით 100 მილიონი იუანი მოიგო და იმედის გაცრუება იგრძნო.

სინ სიაოდაის ბედმა 2018 წლის ოქტომბერში გაუღიმა. გათამაშების სამ მილიონ მონაწილეს შორის ის ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა და მაშინვე სახელი გაითქვა ჩინურ ინტერნეტში.

– რა, ახლა შემიძლია აღარ ვიმუშაო? – დაწერა ქალმა სოციალურ ქსელში.

სიაოდაიმ ინჟინრის თანამდებობდა დატოვა და მსოფლიოში სამოგზაუროდ წავიდა. ყველაზე საინტერესოდ მან აშშ-ის მოგზაურობა და შვეულმფრენის პილოტირების უფასო კურსების გავლა ჩათვალა. თუმცა ამერიკაში მგზავრობის და ცხოვრების საფასურს თავად იხდიდა. ქალი მალე მიხვდა, რომ კუპონების გამოყენებაზე მსხვილ თანხას საკუთარი ჯიბიდან იხდიდა. გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ კუპონების მოქმედების ვადა მხოლოდ ერთი წლით იყო განსაზღვრული.

შედეგად ქალმა 200 ათას იუანზე მეტი დახარჯა მოგზაურობაზე, „უფასო“ მომსახურებასა და გართობაზე. მუდმივი გადაფრენების გამო, ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა, ხოლო 2020 წელს მის მიერ გახსნილი მარკეტინგული სააგენტო ხელისუფლებამ დახურა. სიაოდაი თვლის, რომ ეს ყოველივე იმის ნიშანია, რომ იღბალმა ზურგი შეაქცია.

– ჩემი იღბლიანობა ამოიწურა, ყველაფერი, რაც თავს გადამხდა, უფრო ბედის დაცინვას ჰგავს, – აღნიშნა ქალმა, რომელიც ამავე დროს თვლის, რომ მისი გამოცდილება სხვებს დაეხმარება, რომლებიც ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალგაზრდული ნაკრები სამხრეთ აფრიკაში ტურნეს გამართავს

საქართველოს 2 ნაკრები – ეროვნული და ახალგაზრდული სამხრეთ აფრიკაში ტურნეს გამართავს. დიდ ნაკრებს ამის გაკეთება ივლისში მოუწევს, ხოლო უმცროსი „ბორჯღალოსნები“ აფრიკაში უკვე გაემგზავრნენ.

კოვიდპანდემიის გამო, 2019 წლის შემდეგ მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატი არ ჩატარებულა და, შესაბამისად, 2 წელიწადია ჩვენს ახალგაზრდებს არსად უთამაშიათ. ჩემპიონატი 2022 წელს უნდა აღდგეს, მანამდე კი ის მორაგბეები, რომლებსაც გაისად შეეძლებათ ჩემპიონატში თამაში, საერთაშორისო გამოცდილებას მაღალი დონის შეხვედრებში მიიღებენ.

პირველი ასეთი ტურნირი სტელენბოშში 18 ივნისს დაიწყება და 3 ივლისს დასრულდება. მასში 4 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას და თითოეულ მათგანს 4 თამაშის გამართვა მოუწევს. უმცროსი ბორჯღალოსნები 18 ივნისს არგენტინას ეთამაშებიან, 23-ში ურუგვაის, 28-ში კი მასპინძელ სამხრეთ აფრიკას. მეოთხე შეხვედრა 3 ივლისს გველის და მეტოქე წინა 3 თამაშის შედეგების მიხედვით გაირკვევა. ჯგუფში 1-2 ადგილზე გასული გუნდები ფინალში შეხვდებიან, მესამეადგილოსანი კი, მეოთხეს ეთამაშება.

აფრიკაში გამგზავრებამდე, უმცროსი ბორჯღალოსნების 46-კაციანმა შემადგენლობამ „შევარდენზე“ 4-კვირიანი შეკრება გაიარა, რის შემდეგაც ტურნირისთვის 30 მათგანი შეირჩა. საგულისხმოა, რომ 17 მორაგბე 2003 წელს დაბადებული მოთამაშეა, რომელთაც 2-ჯერ მოუწევთ 20-წლამდელთა ჩემპიონატზე თამაში – 2022 და 2023 წელს.

გუნდში ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა. გუნდის მთავარი მწვრთნელი ილია მაისურაძე უმცროს ბორჯღალოსნებს სამხრეთ აფრიკაში ვერ მიყვება, რადგან პარალელურად „ბორჯღალოსნების“ შერკინების მწვრთნელია და აფრიკულ ტურნეზე მათთან ერთად გაემგზავრება. მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ლადო კილასონია შეასრულებს, რომელიც განვლილი შეკრებით კმაყოფილია.

ლადო კილასონია:

– ილია მაისურაძე ბოლო 4 კვირის განმავლობაში ჩვენთან ერთად იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ტურნირზე ვერ მოდის და მოგვიანებით შემოგვიერთდება. ილია ძალიან დაგვაკლდება, მაგრამ მნიშვნელოვნად წაადგება ჩვენს ეროვნულ გუნდს. მთელი ამ ხნის განმავლობაში შერკინებაზე ილიასთან ერთად თორნიკე ბუბუტეიშვილი მუშაობდა და სამხრეთ აფრიკაშიც ის მოდის.

რაც შეეხება შეკრებას, ყველას დიდი მადლობა. იმ ბიჭებმა, ვინც ამ ეტაპზე შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ, მაქსიმალური მონდომებით გაზარდეს კონკურენცია და საკმაოდ ნაყოფიერი პერიოდი გავიარეთ. კმაყოფილი ვარ ყველათი, რადგან ყველა ბოლომდე დაიხარჯა. ჩვენი მიდგომაა, რომ როდესაც მოთამაშეები ერთ დონეზე არიან, აქცენტი ერთი წლით უმცროსებზე გავაკეთოთ, რადგან მათ კიდევ ერთი 20-წლამდელთა ჩემპიონატი ელით და გამოცდილებას იღებენ. ყველანი ძალიან მონდომებულები არიან და მოუთმენლად ველით ტურნირის დაწყებას. მწვრთნელებს გვაინტერესებს ვნახოთ, პანდემიით გამოწვეული პაუზის შემდეგ სად არის საერთაშორისო რაგბი და სად ვართ ჩვენ, გაიზარდა თუ არა სხვაობა დონეებს შორის, ეს ტურნირი ამის დასანახად საუკეთესო საშუალებაა. გარდა ამისა, ამ ბიჭებისთვის ეს პირველი საერთაშორისო გამოცდილებაა და გვაინტერესებს, როგორ გაართმევენ თავს წნეხს.

ვარჯიშებზე ხელოვნურად ვცდილობდით ტემპის აწევას, მაგრამ მაინც ერთმანეთთან გვიწევდა თამაში, საერთაშორისო მატჩებში კი მაინც სხვა ტემპი და წნეხია. ენთუზიაზმი და მონდომება არავის აკლია და ეს ტურნირი თავის წარმოსაჩენად საუკეთესო საშუალებაა. არგენტინა ტრადიციულად მაღალ ტემპში თამაშობს, შესაძლოა, ყველაზე მაღალ ტემპშიც კი. სამხრეთ აფრიკა ფიზიკურობით გამოირჩევა და სათამაშო სტილს არასდროს ცვლის, ურუგვაი კი ბრძოლისუნარიანი გუნდია და არასდროს ნებდება. ვფიქრობთ, რომ ტურნირზე სამი განსხვავებული სტილის თამაში გველოდება, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

შერკინება: დავით გველესიანი, გიორგი მამაიაშვილი, გიორგი მაისურაძე, ნიკა ბაბუნაშვილი, ალექსანდრე ქუნთელია, ირაკლი აფციაური, ბადრი ციხისთავი, ალექსანდრე ბურდული, გურამ ღანიაშვილი, დავით არველაძე, ლაშა ციხისთავი, ნიკოლოზ სუთიძე, ბექა გელხვიძე (ყველა ლელო), სერგო აბრამიშვილი (ხვამლი), რატი ზაზაძე (არმაზი), პაატა გალდავა (აია);

უკანა ხაზი: კოტე იაშვილი (აკადემია), გიორგი კურტანიძე, ლუკა არჩვაძე, პეტრე ხუციშვილი, თორნიკე კახოიძე, გიორგი ჩიქოვანი, შალვა აფციაური, ლუკა კვენტაძე, ვაჟა მიქაძე, საბა არჩვაძე (ყველა ლელო), დავით იმნაძე, თენგიზ სკამკოჩაშვილი (ორივე იუნკერები), ლაშა ცხოვრებაძე (რუსთავი), გიორგი ნავროზაშვილი (არმაზი).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, პლევრიტის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7“. დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ევროპირველობაზე ფავორიტები იგებენ

ინგლისი-ხორვატია 1:0

ლონდონი. უემბლი

1:0 სტერლინგი (57)

ინგლისი: პიკფორდი, უოკერი, სტოუნსი, მინგსი, ტრიპიერი, ფილიპსი, რაისი, მაუნტი, ფოდენი (რაშფორდი 71), კეინი (ბელინგემი 82), სტერლინგი (კალვერ-ლიუინი 90)

ხორვატია: ლივაკოვიჩი, ვრსალკო, ვიდა, ჩალეტა-ცარი, გვარდიოლი, ბროზოვიჩი (ვლაშიჩი 70), კრამარიჩი (ბრეკალო 70), მოდრიჩი, კოვაჩიჩი, პერიშიჩი, რებიჩი (ბ.პეტკოვიჩი 78)

სიმართლე რომ ვთქვათ, ჯგუფის ფავორიტები მაინცდამაინც ვერ ბრწყინავდნენ. შესაძლოა, იმიტომაც, რომ ფავორიტები არიან და ერთმანეთში ქულების დაკარგვა არ სურდათ და ფრთხილობდნენ. თუმცა, გოლის შემდეგ დიდი დრო იყო და მოედანზე დიდად არაფერი შეცვლილა.

ინგლისმა 1:0 მოიგო და უსიამოვნო ტრადიცია დაარღვია – ფეხბურთის ფუძემდებლები მე-10 ევროპის ჩემპიონატს თამაშობენ და აქამდე სასტარტო მატჩი მოგებული არ ჰქონდათ.

ერთადერთი გოლი 57-ე წუთზე გავიდა – კელვინ ფილიპსის პასით რაჰიმ სტერლინგმა გაიტანა. ლოგიკური იყო, რომ ანგარიში ინგლისელებმა გახსნეს. ისინი ფლობდნენ უპირატესობას. უფრო მართლები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ მატჩის საწყის 20 წუთში უკეთ გამოიყურებოდნენ და ერთ მომენტში ძელსაც გაარტყეს ბურთი.

სტერლინგის გოლი კი, ბოლო ზუსტი დარტყმა იყო კარში მთელი მატჩის მანძილზე. ლოგიკური იყო, ინგლისელთა გოლის შემდეგ საქმეში უფრო მეტად ხორვატები უნდა გვენახა, მაგრამ ასე არ მოხდა. მოდრიჩი და მისი თანაგუნდელები ძალიან ინერტულად გამოიყურებოდნენ. მეტიც, ფინალური შტურმიც კი ვერ მოაწყვეს და უქულოდ დარჩნენ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კელვინ ფილიპსი

ინგლისის ნაკრებში ბლომად არიან ფეხბურთელები, რომლებიც ტოპ-კლუბებს წარმოადგენენ, ფილიპსი კი მოკრძალებული ლიდსის ნახევარმცველია, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი, მოედანზე ყველაზე გამორჩეული ფიგურა ყოფილიყო. იგებდა ორთაბრძოლებს, იწყებდა შეტევებს და საგოლე პასიც მის ანგარიშზეა. ჯერჯერობით, ამ ტურნირის აღმოჩენაა. ეს მხოლოდ პირველი თამაშით, დანარჩენი ვნახოთ...

ნიდერლანდები-უკრაინა 3:2

ამსტერდამი. იოჰან კრუიფი

1:0 ვეინალდუმი (52), 2:0 ვეგჰორსტი (58), 2:1 იარმოლენკო (75), 2:2 იარემჩუკი (80), 3:2 დუმფრისი (85)

ნიდერლანდები: სტეკელენბურგი, ტიმბერი (ველტმანი 88), დე ვრეი, ბლინდი (აკე 64), დუმფრისი, დე რუნი, ვეინალდუმი, ფ.დე იონგი, ვან ანჰოლტი (ვეინდალი 64), ვეგჰორსტი (ლ.დე იონგი 88), დეპაი (მალენი 90)

უკრაინა: ბუშანი, კარავაევი, ზაბარნი, მატვიენკო, მიკოლენკო, სიდორჩუკი, ზინჩენკო, მალინოვსკი, იარმოლენკო, იარემჩუკი, ზუბკოვი (მარლოსი 13, შაპარენკო 64)

თვალსასაჩინო მატჩი გაიმართა „იოჰან კრუიფზე“ – ზუსტად ისეთი, როგორიც ამ ლეგენდარულ ფეხბურთელს ეკადრება. განსაკუთრებით საინტერესო მეორე ტაიმი იყო, რომელშიც 5 გოლი გავიდა.

მართალია, პირველ ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა მომენტები, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ამასთან, ორივე გუნდი ძალიან მაღალ პრესინგს იყენებდა და მაინც უახლოვდებოდნენ ერთმანეთის საჯარიმო მოედანს. ნიდერლანდელებს უფრო მეტი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ რეალიზაციაში მოიკოჭლებდნენ.

სამაგიეროდ, მეორე ტაიმის საწყის 15 წუთში ფრანკ დე ბურის შეგირდებს უკვე 2 გოლი ჰქონდათ გატანილი – ჯერ ვეინალდუმმა შეაგდო, შემდეგ ვეგჰორსტმა.

თითქოს მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ ანდრეი შევჩენკოს შეგირდები. იარმოლენკომ და იარემჩუკმა 2 ლამაზი გოლი გაიტანეს.

მატჩის დასრულებამდე დიდი დრო არ იყო. ახლა უკვე ყველა ფიქრობდა, რომ გუნდები ქულებს გაიყოფდნენ. თუმცა, უკრაინელთა საჯარიმოში დუმფრისი ყველაზე მაღლა ახტა და აკეს ჩაწოდებულ ბურთს თავი საგოლედ შეაგება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – დენზელ დუმფრისი

ნიდერლანდელთა ფლანგის მცველი მთელი მატჩის განმავლობაში აქტიური იყო და თუ დე ბურის შეგირდები რამეს ქმნიდნენ, უმეტესობაში მონაწილეობას დუმფრისი იღებდა. ასე გავიდა 2 გოლი, მესამე კი, თავად გაიტანა.

ავსტრია– ჩრ.მაკედონია 3:1

ბუქარესტი. ნაციონალური

1:0 ლაინერი (18), 1:1 პანდევი (28), 2:1 გრეგორიჩი (78), 3:1 არნაუტოვიჩი (89)

ავსტრია: ბახმანი, დრაგოვიჩი (ლინჰარტი 46), ალაბა, ჰინტერეგერი, ლაინერი, ლაიმერი (ბაუმგარტლინგერი 90), შლაგერი (ილზანკერი 90), ზაბიტცერი, ულმერი, კალაიჯიჩი (არნაუტოვიჩი 58), ბაუმგარტნერი (გრეგორიჩი 58)

ჩრ.მაკედონია: დიმიტრევსკი, ნიკოლოვი (ბეიტულაი 64), შ.რისტოვსკი, ველკოვსკი, მუსლიუ (მ.რისტოვსკი 86), ალიოსკი, ბარდი (ტრიჩკოვსკი 82), ადემი, ელმასი, ტრაიკოვსკი (კოსტადინოვი 63), პანდევი

გეხსომებათ, საქართველოს ნაკრები ამ ევროპის ჩემპიონატის მიღმა სწორედ მაკედონიამ და პანდევმა დატოვეს. ეს მაკედონიელთა პირველი თამაში იყო დიდ ტურნირზე, ხოლო პანდევისთვის, სავარაუდოდ, ბოლო დიდი ტურნირი. და პანდევისთვის მაინც ისტორიული, რადგან საკუთარი ქვეყნის პირველი გოლი გაიტანა ევროპირველობაზე და გახდა ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელი, ვინც ევროპის ჩემპიონატზე თავი გოლით გამოიჩინა.

და მაინც მაკედონიამ წააგო. ანგარიში ავსტრიელებმა გახსნეს და ეს ლაინერმა გააკეთა. შემდეგ იყო პანდევის გამთანაბრებელი, რომელსაც დიდწილად ავსტრიელთა მეკარე წაეხმარა.

მაკედონიელები დიდხანს ინარჩუნებდნენ საყაიმო ანგარიშს და ცდილობდნენ, პირველ გოლთან ერთად პირველი ქულაც მოეპოვებინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ავსტრიელთა მწვრთნელმა ცვლილებებს მიმართა და გაუმართლა კიდეც – ჯერ გრეგორიჩმა, შემდეგ კი, არნაუტოვიჩმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს. ავსტრიამ რთულად, მაგრამ 3 ქულა მაინც აიღო.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – დავიდ ალაბა

მიუნხენის ბაიერნიდან ახლახან მადრიდის რეალში გადასული ფეხბურთელი ავსტრიელთა ნამდვილი ლიდერი და კაპიტანია. ალაბამ თავიდან დაცვის ცენტრში დაიწყო თამაში, მაგრამ როდესაც გუნდს 3 ქულის მოპოვება სჭირდებოდა, უფრო შეტევისკენ წაიწია, გააკეთა საგოლე პასი და ისევ დაცვას დაუბრუნდა.

შედეგები

13 ივნისი

ფეხბურთი

ევრო 2020

ინგლისი-ხორვატია 1:0

ავსტრია-მაკედონია 3:1

ნიდერლანდები-უკრაინა 3:2

ჯოჰა ამეხიჯა

ბრაზილია-ვენესუელა 3:0

კოლუმბია-ეკვადორი 1:0

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ფლეი ოფი

რაიო-ხირონა 1:2

ნორვეგია. ელიტსერია

ბოდო გლიმტი-მიონდალენი 2:0

ლილესტრიომი-ჰაუგესუნდი 2:1

სარპსბორგი-ბრანი 0:0

სტორმგოდსეტი-რუსენბორგი 2:1

ვიკინგი-ვალერენგა 4:1

ჩოგბურთი

ხოლან გაჰოსი

ფინალი

ჯოკოვიჩი-ციციპასი 6:7; 2:6; 6:3; 6:2; 6:4

თბილისის დინამო გალიდერდა და ბათუმის დინამოს ელოდება

სამტრედია-დინამო (თბ) 0:2

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

0:1 ხადინი (24), 0:2 ახვლედიანი (80)

სამტრედია: ქურდაძე, ცეცხლაძე, კვირკვია, მესიაჩენკო (რობაქიძე 77), ილურიძე (დოობი 84), ჟუნიორი (რუხაძე 57), ნადირაძე, ლომთაძე (ლუკავა 57), იოსელიანი (გადირზადე 77), კაბა, გიორგაძე

დინამო: კვასხვაძე, ბენიო, მონხილი, კობოური, პაპავა (ქარდავა 46), რადინი (მექვაბიშვილი 75), სპორქსლედე, ხარაბაძე, კუცია (გაგნიძე 68), გაბედავა (ახვლედიანი 68), მარუშიჩი (ორშულა 89)

ეროვნული ლიგის მე-17 ტური სამტრედიაში დაიწყო და თბილისის დინამომ მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა. კახაბერ ცხადაძის გუნდმა ახალ მწვრთნელს პირველი მოგება „მიუძღვნა“ და 2-ბურთიანი სხვაობით იმარჯვა.

ანგარიში 24-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც ფლანგიდან ფაბიან სპორსკლედემ ჩაწოდა და მასპინძელთა კარში ბურთი თავური დარტყმით მილან რადინმა მოათავსა.

საბოლოო ანგარიში დედაქალაქელებმა შეხვედრის დასრულებამდე 10 წუთით ადრე დააფიქსირეს. ამჯერად საგოლე პასი ზორან მარუშიჩმა მიითვალა, გოლი კი, საკუთარ კარში თორნიკე ახვლედიანმა გაიტანა.

ამით მარუშიჩმა ის შეცდომა გამოასწორა, რაც მანამდე რამდენი წუთით ადრე მოუვიდა – სწორედ ახვლედიანის პასით მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა 100 პროცენტიანი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

დინამომ მოპოვებული სამი ქულის შემდეგ 35 ქულა დააგროვა და გათამაშების ცხრილს სულ სათავეში მოექცა. თუმცა, მთავარი კონკურენტ ბათუმის დინამოს ჯერ ტურის მატჩი სათამაშო აქვს.

სამტრედია კი, კვლავ გასავარდნ ზონაშია. იმერლებს 10 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში მე-9 პოზიციას იკავებენ.

შუქურა-საბურთალო 0:0

ფოთი. ფაზისი

შუქურა: თებიძე, ჭანტურია, გოგიტიძე, მუსელიანი (ფარტენაძე 36), ვერულიძე (ინგოროყვა 53), ტენორი (ხმალაძე 46), სარდალიშვილი, გაფრინდაშვილი (კვარაცხელია 78), რეხვიაშვილი, კაკაშვილი, ჯერალდო

საბურთალო: გოშაძე, მალი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, ი.ტაბატაძე, გულიაშვილი (ლ.ნონიკაშვილი 67), ცნობილაძე (ძებნიაური 86), ტერა (შ.ნონიკაშვილი 86), შულაია (გოჩოლეიშვილი 80), მანდრიჩენკო (ამინუ 86), მუდრაკი

ზედიზედ ორი მოგებული შეხვედრის შემდეგ საბურთალომ ქულები დაკარგა. დედაქალაქურმა კლუბმა შუქურას წინააღმდეგ ჩატარებული შეხვედრა უგოლოდ დაასრულა. თავის მხრივ, გიორგი შაშიაშვილის გუნდმა ზედიზედ მეორე შეხვედრაში აიღო ქულა.

ამ გუნდებმა ქულები პირველ წრეშიც გაიყვეს, როცა უფრო შედეგიანად 2:2 დაასრულეს შეხვედრა.

ამ დროისთვის ქობულეთელებს 16 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზე არიან. 28 ქულა აქვს საბურთალოს, გათამაშების ცხრილში მე-3 პოზიციას იკავებს და ახლა მეტოქეებს ელოდება, რომ სამეულში ვინმემ არ ჩაანაცვლოს.

სატუნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	17	11	2	4	27-13	35
2.დინამო (ბთ)	16	10	4	2	31-10	34
3.საბურთალო	17	7	7	3	22-18	28
4.ლოკომოტივი	16	8	3	5	28-24	27
5.დილა	16	7	4	5	18-15	25
6.სამგურალი	16	6	4	6	17-20	22
7.ტორპედო	16	3	8	5	15-15	17
8.შუქურა	17	3	7	7	14-24	16
9.სამტრედია	17	2	4	11	16-30	10
10.თელავი	16	1	5	10	10-29	8

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საგნის ზუსტი განსაზღვრა, დახასიათება მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 2. მარტის თვის ქართული სახელწოდება; 3. უღელტეხილი კავკასიონზე; 4. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 5. გულგრილობა, უინტერესობა ყველაფრისადმი; 11. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 12. პოპულარული კლიმატური კურორტი ლიეტუვაში; 14. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 16. ძვირფასი ქვების ძველი ქართული საერთო სახელწოდება; 17. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 19. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 21. კომპოზიცია პოკერში; 22. იაპონური ავტომობილი.

თარაზულად: 6. ორგანიზმის მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 7. ერთი ან რამდენიმე ბგერის მოკვეცა სიტყვის ბოლოს ლინგვისტიკაში; 8. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 9. სისხლნაკლებობა; 10. მტრედის ბარტყი; 13. ოპტიკური მინა; 15. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 20. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 21. არაბი გლეხი; 23. სამეცნიერო საკითხებზე გამართული საერთაშორისო კონფერენცია; 24. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხოტი; 2. წუნდა; 3. აშუღი; 4. ფრეზა; 5. ესკიზი; 6. გოზინაყი; 8. დეგრადაცია; 10. კლეპტომანია; 11. ვაშლოვანი; 14. გრემიო; 15. ბურახი; 16. ქლესა.

თარაზულად: 1. ხატწერა; 4. ფლემინგი; 7. ტვინი; 9. რიეკა; 12. ჩიტაია; 13. აგავა; 14. გრანდი; 17. ცაცხვი; 18. პლანიმეტრია; 19. ჰაუბიცა; 20. კაკაჩი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პაციფისტი; 2. ვიოლინო; 3. ჯიქები; 4. ბაფტა; 5. სტურუა; 11. ბაკარა; 12. ვიტესი; 14. ტუფი; 16. სორბონა; 17. მაესტრო; 19. ბერლინი; 21. ურალი; 22. ლიოვი.

თარაზულად: 6. მარტვილი; 7. კრამიტი; 8. ტევრი; 9. ოფორტი; 10. ბზობა; 13. შტატი; 15. ესკალატორი; 18. საქსები; 20. არქი; 21. უტზონი; 23. კალიფორნია; 24. რიგელი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.2040

ევრო
— 3.8829

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.5164

100 რუსული
რუბლი
— 4.4320

ამინდის პროგნოზი 15 ივნისისათვის

ჰარი კეინი: „ახლა მხოლოდ ევროპაზე ვფიქრობ“



ტოტენჰემის ფორვარდმა ჰარი კეინმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიუღია და ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ინგლისის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას მიაღწიოს:

– ახლა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე ვფიქრობ და სხვა ყველაფერს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მინდა, რომ გულშემატკივარი გავახარო, ხოლო იმის შესახებ, თუ სად გავაგრძელებ კარიერას, საზოგადოება მალე გაიგებს.

კოუტინიო შესაძლოა ლესტერში გადავიდეს

ბარსელონას ბრაზილიელი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო დიდი ალბათობით კარიერას ინგლისში, კერძოდ კი, ლესტერში გააგრძელებს. ლესტერი მზად არის, ამ ტრანსფერში 20 მილიონი გადაიხადოს და ბარსელონა ჯერჯერობით ამ თანხაზე ყაბულს არის.

წლევანდელი სეზონის დიდი ნაწილი კოუტინიომ ტრავმის გამო გამოტოვა და ის რონალდ კუმანის გეგმებში არ შედის.

მესიმ კოპა ამერიკაზე ისაუბრა

არგენტინის ნაკრების ლიდერმა და კაპიტანმა ლიონელ მესიმ კოპა ამერიკაზე ისაუბრა და თქვა, ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მისმა გუნდმა ამ ტურნირზე გაიმარჯვოს. მესის აზრით, ეს შეუძლებელი სულაც არ არის:

– მინდა, რომ გულშემატკივრებს მივანიჭოთ ის ემოცია, რომელსაც ისინი იმსახურებენ და ეს სულაც არ არის შეუსრულებელი მისია. ტურნირის მანძილზე გამოჩნდება, როგორ ფორმაში ვართ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნოვაკ ჯოკოვიჩი როლან გაროსის გამარჯვებულია

ნოვაკ ჯოკოვიჩი როლან გაროსის გამარჯვებული გახდა და პირველი ჩოგბურთელი შეიქნა, ვინაც დიდი სლემის ტურნირების წრე მეორედ შეკრა. სერბმა ჩოგბურთელმა ფინალში ბერძენი სტეფანოს ციციპასი ხუთ სეტში დაამარცხა – 6:7; 2:6; 6:3; 6:2; 6:4.

შეხვედრამ 4 საათი და 20 წუთი გასტანა და ჯოკოვიჩისთვის მატჩი ურთულესი გამოდგა, რადგან საწყისი ორი სეტი წააგო, მაგრამ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ თამაში სათავისოდ შემოეტრიალებინა.

ბერძენი ჩოგბურთელი თავიდან უკეთესად გამოიყურებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, ძალები სათანადოდ ვერ გადაანაწილა. ციციპასი მატჩის ბოლოს დაიღალა. ამას თან დაერთო ნერვიულობა, რადგან მისთვის პირველი დიდი ტურნირის მოგებასთან ახლოს იყო. ამასთან, ჯოკოვიჩი მუდმივად წინ იყო და ციციპასს იმაზე ფიქრი უხდებოდა, როგორ დაბრუნებულიყო თამაშში. ეს ბერძენ ჩოგბურთელს არ გამოუვიდა და დიდ წარმატებაზე ფიქრი სამომავლოდ გადადო. ჯოკოვიჩმა კი მე-19 დიდი სლემის ტურნირი მოიგო და ახლა როჯერ ფედერერსა და რაფაელ ნადალს მხოლოდ ერთით ჩამორჩება.

წინ უიმბლდონის ტურნირი აქვს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

15 ივნისისათვის

ვერძი – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **კურო** – ნუ აჩქარდებით. ხელსაყრელ დროს დაელოდეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ტყუპები** – ყველა არასაჭირო კავშირისაგან გათავისუფლდით. ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. **კირჩხიბი** – დაძაბული და წინააღმდეგობრივი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება, რაც პარტნიორთან ურთიერთობის გართულებას გამოიწვევს. **ლომი** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ქალწული** – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **სასწორი** – პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. ამაში პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭიც დაგეხმარებათ. **ღრიანკალი** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო შესაძლოა დიდი პრობლემები შეგექმნათ. **მშვილდოსანი** – გეგმების განხორციელებაში წვრილმანი დაბრკოლებები შეგიშლით ხელს. ნუ იყოყმანებთ, გააკეთეთ ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე გაქვთ, მაინც შინაგან დაძაბულობას გრძნობთ. გულისხმას ყური უგდეთ. **მერწყული** – თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობას ძალზე წაადგება ქალაქგარეთ გასვლა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, ბაღში მუშაობა. ინტიმურ საკითხებზე ყურადღების მეტისმეტი გამახვილება არ ღირს. **თევზები** – შექმნილი რთული სიტუაციიდან თქვენთვის სასარგებლო გამოსავალს მიაგნებთ. ყოფით პრობლემებზე ნუ ჩაიციკლებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– რას შვრება შენი ლოთი ქმარი? ფულებს ისევ კაზინოსა და რესტორნებში ფლანგავს?

– არა. სერიოზულად დაველაპარაკე და ახლა აღარც სვამს, აღარც ეწევა, აღარც კაზინოებსა და რესტორნებში დადის... მშვიდად წევს რეანიმაციაში!

●●●

ბუღალტერი ქმარი ცოლს ეუბნება:

– შენ ჩემი ყველაზე ფასეული პასივი ხარ.

– რა პასივი? მე ხომ შენი საკუთრება ვარ, ე.ი. აქტივი!

– აქტივი შემოსავლიანია, ხოლო პასივი – გასავლიანი.

●●●

ტელეფონის ზარი:

– ალო პოლიცია, გამძარცვეს!

– როგორ გამოიყურებოდა მძარცველი?

– როგორც ჩვეულებრივი ბანკი.

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:

– თქვენ ბიზნესმენი ხართ?

– გადასახადებით კი და ისე – არა.

●●●

ქალი მკითხავს ეუბნება:

– ჩემს ქალიშვილს ხუთი წლის წინ უმკითხავე და ქმარი და ხუთი შვილი უწინასწარმეტყველე.

– და ახლა რა გინდათ?

– ქმარი როდის ეყოლება?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინო ანანიაშვილი დააჯილდოვეს

პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი დაჯილდოვეს. მას ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის საპატიო წევრის სიგელი და მედალი გადაეცა. 7-13 ივნისს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა იოანეს მარონიტისი, საბერძნეთის – პირეოსის და კუნძულების იუნესკოს კლუბების პრეზიდენტი, იუნესკოს კლუბების, ცენტრებისა და ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. იოანეს მარონიტისი დაესწრო რეპეტიციას თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში და ნინო ანანიაშვილს საერთაშორისო ორგანიზაციის საერთაშორისო სამოქმედო ხელოვნების საპატიო წევრის სიგელი და მედალი გადასცა.

ნატალია ქუთათელაძე საერთაშორისო კონკურსის ფინალისტად დასახელდა

ოპერის მომღერალი ნატალია ქუთათელაძე ბიბისის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონკურსის ფინალისტად დასახელეს.

ნანი ბრეგვაძისა და ეკა მამალაძის საამაყო შთამომავალი მსოფლიოს 15 ქვეყნის მომღერალთა შორის რჩეული გახდა. წელს კონკურსის მონაწილეებმა ურთულესი შესარჩევი ტურები გაიარეს და კომპეტენტურ ჟიურის დაუმტკიცეს, რომ კონკურსის ფინალში სიმღერის ღირსები არიან.სხვადასხვა ქვეყნის ნიჭიერ მომღერალთა შორის ნატალია ქუთათელაძეც აღმოჩნდა.

დემნა გვასალია: „ეს არის ჩვენება, რომელიც არასოდეს მომხდარა“

დიზაინერმა დემნა გვასალიამ მოაწყო ჩვენება, რომელიც სინამდვილეში არ ჩატარებულა:

– ეს არის ჩვენება, რომელიც არასოდეს მომხდარა. ტექნოლოგიების გამოყენებით, ლუქები არა რეალურმა ელიზამ, არამედ მისმა კლონებმა წარმოადგინეს. მსოფლიოს ფილტრის საშუალებით ვხედავთ – ის სრულყოფილი, მოწესრიგებული, დაფოტოშოპებულია. ჩვენ შეულამაზებელსა და გადაკეთებულს, გულწრფელსა და ფარისევლურს, ხელშესახებსა და კონცეპტუალურს, ფაქტსა და ფიქციას, ყალბსა და უკიდურესად ყალბს შორის გაურკვევლობაში აღმოვჩნდით. ტექნოლოგია ალტერნატიულ სინამდვილეს და იდენტობებს ქმნის – ის ციფრული კლონებით სავსე მსოფლიოს აყალიბებს.

რაც შეეხება დიზაინერების მუშაობას, დემნას მიაჩნია, რომ ბევრი დიზაინერი 50 წლის წინ არსებული წესებით მუშაობს:

– თანამედროვე ქალები წვეულებას არ ტოვებენ იმიტომ, რომ სახლში მალე დაბრუნდნენ. ბევრი დიზაინერი 50 წლის წინ არსებული წესებით მუშაობს და იმედი აქვთ, რომ რეალობა მათთან დიალოგში შევა. ახლა სხვა დროა. უნდა იცოდე, ვისთვის ქმნი ტანსაცმელს.

ქალისა და მამაკაცის კოლექციის ერთდროულად ჩვენება რეალურ ცხოვრებასთან გვაკავშირებს. დღეს ქალები და კაცები აქტიურ ცხოვრებაში ერთნაირად არიან ჩართულნი. ჩვენებების ორად გაყოფა რეალობასთან წინააღმდეგობაში მოდის. ამასთან ადამიანს უფლება აქვს, თავად აირჩიოს საკუთარი სქესი და გადაწყვიტოს, ვინ უნდა იყოს.

ნატო დუმბაძე ხელისუფლებას: „იქნებ კარგად დაფიქრდეთ!“

პროდიუსერი ნატო დუმბაძე ხელისუფლებას დაფიქრებისკენ მოუწოდებს და საზოგადოებაზე მეტ ზრუნვას ურჩევს:

– ბევრი საქმე მქონდა და მომიწია ბევრი სხვადასხვა ტაქსით და, შესაბამისად, სხვადასხვა მძღოლით მგზავრობა!

ნეტა არ მემგზავრა! ნუ, იმაზე აღარ ვისაუბრებ, პეკინიდან მრგვალ ბაღამდე 8 ლარი რომ გამხდარა ტარიფი!

ესე იგი მე ამდენი ხელისუფლებით უკმაყოფილო, ნაწყენი და მერე კიდევ გაბრაზებული მძღოლი ერთად არ შემხვედრია. ასაკი 67-დან ქვემოთ! მართლა გაოცებული ვარ!

ხელისუფალნო! ხალხი ძალიან გაბრაზებული და განაწყენებული გყოლიათ და, მგონი, უნდა დაფიქრდეთ!

ბევრი სევდიანი ისტორია მოვისმინე, დაწყებული მეუღლის ავადმყოფობისთვის წინსწრებით აღებული პენსიით, რომელიც 67 წლის მძღოლმა მისი მკურნალობისთვის აიღო, შემდეგ იმ პროცენტის გადახდაზე წუხილით და დარდით დამთავრებული!

საწვავზე ფასის მომატებით, გაზრდილი ტარიფებით, ამიტომაც ბოდიშის მოხდით, მორიდებით შემომჩივლა, გაძვირდა, ქალბატონო და ამიტომ გართმევთ ასე მცირე მანძილში ამდენსო, რა ვქნა, გამიგეთ, პური ხომ უნდა შევიტანო სახლში ამათ ხელში, აი, ასეთ დღეში ვარო!

მეორემ სულ გამაგიჟა, ნარკოტიკს მიაქვს ქვეყანაო, მესამემ – ბიზნესი მქონდა და ამ მთავრობის ხელში დღეს ამითი ძლივს ვარჩენ ოჯახსო! მეოთხემ – ამათ გამო თავი მოვიკალი კინაღამ, ოღონდ მოსულიყვნენო და დღეს, აი, ძლივს ვარჩენ ოჯახსო, ძლივს კი არა, ვერც ვარჩენო!

ძირითადად ფეხით დავდივარ, ამიტომ არ ვიცოდი, ეს როგორი მძიმე რეალობა ყოფილა გარეთ!

ჰოდა, ძვირფასებო! კიდევ ერთხელ განვმეორდები, იქნებ კარგად დაფიქრდეთ!



ნინო ხარატიშვილი სამეფო უბნის თეატრში სპექტაკლს დგამს

გერმანიაში მცხოვრები და მოღვაწე მწერალი ნინო ხარატიშვილი სამეფო უბნის თეატრში სპექტაკლს დგამს.

სამეფო უბნის თეატრი უბრუნდება სცენას! 25 ივნისს თეატრის სცენაზე პრემიერაა. „მსახურთა შემოდგომა“ – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომლის ავტორიც და რეჟისორიც ნინო ხარატიშვილია. ნაწარმოების თარგმანი ანა კორძაია-სამადაშვილს ეკუთვნის, სცენოგრაფია – იულია ნოვიკოვას, კოსტიუმები – გუნა მაიერს, ნინო ნუცა ჭყონიას, ავთანდილ მოდებაძეს, გრიმი კი – ანუკა მურვანიძეს.

სპექტაკლში 3 მსახიობი მონაწილეობს – ნინო ბურდული, ნატუკა კახიძე და ნატა მურვანიძე.

ნინო ხარატიშვილის ნაწარმოებში მოვლენები სამოქალაქო ომის დროს მიმდინარეობს. პირქუში, მიტოვებული სასახლე. გარეთ სამოქალაქო ომი მძვინვარებს. გენერალი – ქვეყნის პირველი პირი და ამ სახლის ბატონი – გაქცეულია. ყველამ თავს უშველა, სამი მსახურის გარდა: მზარეული რინა, მოახლე კაელა და ხელის გოგო ლუსი მარტო დარჩნენ. მიუხედავად რინას და კაელას მცდელობისა, ომი მაინც იჭრება დახშულ ფანჯრებსა და ჩარაზულ კარში, შეაღწევს სამყაროსგან მოწყვეტილი ქალების გონებაში. კაელასა და რინას შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ლუსი სათამაშოდ გადაიქცევა; მეტოქეები არ ერიდებიან არავითარ შეურაცხყოფასა და დამცირებას ერთმანეთის გასატეხად. უსაფრთხო და დაცული ადგილი, სახლი, თანდათან ემსგავსება ბრძოლის ველს, საიდანაც თავის დაღწევა სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 3. საშობაო სიმღერა; 4. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 5. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 6. მზის სისტემის პლანეტა; 8. გერმანიაში გამოყვანილი სამოსამსახურეო ჯიშის ძაღლი; 10. შაქრით შეზავებული, არომატიზირებული, მოდუღებული წითელი ღვინო; 11. ტრაგედიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 14. აეროპორტი ლონდონში; 15. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 16. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. იაპონიის ჰიმნი; 7. ფინელი იუმორისტი მწერალი; 9. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 12. ქართველი კინოსა და თეატრის რეჟისორი ქალი; 13. დიპლომატიური წარმომადგენელი; 14. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 17. სისხლის თხევადი ნაწილი; 18. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა; 19. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 20. რაიმე ფაქტის ან მოვლენის ერთ-ერთი ახსნა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა